# საერთო გაზეთი

№16 (655)
ოთხშაბათი
11 მაისი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.


## ვინც ბიძინა ივანიშვილს ებრძვის, ის ებრძვის საქართველოს!



ქართველი ხალხი ბოლომდე დაიცავს თავის ღირსეულ შვილს, ბიძინა ივანიშვილს ისევე, როგორც დაიცავს საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ერთგულად და თავდადებით ემსახურება

## ვახტანგ ხარჩილავა: ვინც ომისკენ უბიძგებს საქართველოს, მას სურს საქართველოს დაეპატრონოს, ოღონდ საქართველოს ქართველების გარეშე!

შევინარჩუნოთ მშვიდობა და ამით შევინარჩუნოთ საქართველო!

## იგორ კვესელავა: ეს ომი მეორე მსოფლიო ომის პირდაპირი გაგრძელებაა



ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს: ამ უმძიმეს ვითარებაში საქართველოს მხსნელი არის ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც დღეს იგივე როლს ასრულებს, რაც თავის დროზე დიმიტრი თავდადებულმა შეასრულა ქვეყნის გადასარჩენად





## რას გვერჩის კელი დეგნანი და რატომ ენდობა ნინო ლომჯარიას, რომელმაც დიდი ხანია ქართველი ხალხის ნდობა დაკარგა?!





## როგორ გათქვა გიგილო გამოგიგილოებულმა „ნაცმოძრაობის“ ფარული ოცნება?



## ომი გრძელდება. შეიძლება მსოფლიომ მალე ბაიდენივით იკითხოს: „ახლა რა ვქნათ, სად წავიდეთ?“

## საყოველთაო სავალდებულო განათლებიდან საყოველთაო გამოთაყვანებამდე

## ამათგან ყველა სამკურნალოა!

## ჩარლზ თაუნზი: ჩვენი სამყარო განზრახ დაიგეგმა და ამიტომაც არის ასეთი განსაკუთრებული



## ჯაშუში ცოლ-ქმრის 50-წლიანი სიყვარულის ამბავი, რომლებმაც სსრ კავშირისთვის ატომური ბომბის ნახაზები მოიპარეს

# ვინც ომისკენ უბიძგებს საქართველოს, მას სურს საქართველოს დაეპატრონოს, ოღონდ საქართველოს ქართველების გარეშე!

## შევინარჩუნოთ მშვიდობა და ამით შევინარჩუნოთ საქართველო!



ვახტანგ ხარჩილავა

უკრაინას რუსეთთან ომში მსოფლიოს უმდიდრესი და უძლიერესი სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპის ასევე უმდიდრესი და უძლიერესი სახელმწიფოები ეხმარებიან, მაგრამ უკრაინის ხელისუფლება მაინც ჯიუტად იმეორებს: მაინცდამაინც საქართველომ გახსნას მეორე ფრონტი, სხვანაირად რუსეთს ვერ მოვერევითო.

დახმარებით ჩვენც შეძლებისდაგვარად გვერდით ვუდგავართ განსაცდელში ჩავარდნილ უკრაინელებს — 500 ტონამდე ჰუმანიტარული ტვირთი გავუგზავნეთ, მხარს ვუჭერთ ყველა საერთაშორისო ტრიბუნიდან, უანგაროდ და უფასოდ ვემსახურებით საქართველოში შემოხიზნულ 28 000 უკრაინელს, მაგრამ არაო, ეს არაფერს ნიშნავს, თუ მეორე ფრონტს არ გაუხსნით რუსებს და რუსულ ბომბებს თუ თავს არ შეუშვერთო.

ვერც ამერიკამ, ვერც 40-მდე სახელმწიფომ, რომლებიც გვერდით უდგანან უკრაინას, ვერ შეძლეს რუსული აგრესიის შეჩერება, მაგრამ ეს ციცქნა საქართველო, თავისი რამდენიმემილიონიანი მოსახლეობით და თავისი „ძლევამოსილი“ შეიარაღებით, რომელიც სულ 40-მდე ტანკს და რამდენიმე ბეტეერს შეიცავს, ომში თუ ჩაერთვება, ომის ბედი აუცილებლად უკრაინის სასარგებლოდ გადაწყდება და ამ გათავხედებულ რუსებს სულ პანღურ-პანღურით ჩავრეკავთ მოსკოვამდე.

რა მაგარი და ყოვლისშემძლე ყოფილა ეს საქართველო, ჩვენ, ქართველებს კი წარმოდგენა არ გვაქვს თურმე ჩვენი უსაზღვრო შესაძლებლობების შესახებ და მხარ-თეძოზე წამოწოლილნი ვდეზერტირობთ და „ვსაჩკაობთ“, იმის ნაცვლად, რომ ხმალი ვიშიშვლოთ და მტერს გულდაგულ ვეკვეთოთ.

მართალია, დღეს ხმლით, შუბით და „რაგატკით“ არავინ იბრძვის, მაგრამ ჩვენ მაინც ვცადოთ და ჩვენს მოყვრებს და მეგობრებს გული გავუხაროთ.

მერე რა, რომ ამ ჩვენს გმირულ მცდელობას შეიძლება ისეთი გამანადგურებელი დარტყმა მოჰყვეს ისედაც გამწარებული და გამხეცებული რუსეთისგან, რომ საქართველოსგან ფერფლი და ნაცარიღა დარჩეს, სამაგიეროდ, ზელენსკი შეგვაქებს, არახამია შეგვაქებს, არისტოვიჩი შეგვაქებს და ცეცხლოვან კოცნას გამოგვიგზავნის ლვოვიდან.

თქვენ ეს შექება პატარა ამბავი ხომ არ გგონიათ? მათი პირით ევროპა გვაქებს, თვით ამერიკა გვაქებს, ბაიდენი გვაქებს, ჯონსონი გვაქებს, რომ საზიზღარი რუსეთის დასუსტებაში ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ.

თუმცა რა წვლილი, რისი წვლილი — დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო და ქართველი ხალხი შეეწირება აქ მეორე ფრონტის გახსნას, მაგრამ მერე რა — დიადი მიზანი დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

მოდით, აქ შევწყვიტოთ ეს არასერიოზული საუბარი და სერიოზულად ვიკითხოთ: ხომ ყველასთვის ნათელია, ხომ არავის ეპარება ეჭვი, ამ ნახევრად ოკუპირებულმა საქართველომ, სადაც რუსეთის ჯარი დიდი ხანია დგას და ქვეყანა, ფაქტობრივად, ალყაშია მოქცეული, ომი დაიწყოს კი არა, ხელი რომ გაატოკოს ცუდად, რუსები „კატოკივით“ გადაგვივლიან და ორ-სამ დღეში მთელ საქართველოზე სრულ კონტროლს დაამყარებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს დასავლეთელ პარტნიორებს, მათ შორის ამერიკელებსაც, ერთხელ და სამუდამოდ ამოუკვეთავენ აქედან ფეხს.

აქედან გამომდინარე, **ვინც საქართველოს მეორე ფრონტის გახსნისკენ მოუწოდებს, ის არა მარტო საქართველოს, არამედ ამერიკასა და დასავლეთსაც უწყობს დიდ პროვოკაციას და იმის გაკეთებას გვაიძულებს, რაც რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.**

პატივცემულო მეგობრებო დასავლეთიდან, ნუთუ ძნელია ამის დანახვა, ნუთუ ასე რთულია იმის გაანალიზება, სინამდვილეში, ვინ ვინ არის და ვინ ვის ემსახურება.

ასეთი გულუბრყვილოები და მიამიტები როგორ ხართ, რომ გჯერათ, რუსული კადრებით გაძეძგილი „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს თითქმის მთელი საქართველო რუსებს გადააბარა, ვითომ პროდასავლური ძალაა.

ან კიდევ, უკრაინას და საქართველოს რომ ადარებთ ერთმანეთს, დაგავიწყდათ, რომ უკრაინა შუაგულ ევროპაში მდებარეობს, გარშემორტყმული ევროპული სახელმწიფოებით, რომლეთა სასიცოცხლო ინტერესებში შედის, დაიცვან უკრაინა, ანუ დაიცვან საკუთარი თავი, საქართველოს კი, რაიმე რომ მოხდეს, ვინ გამოექომაგება და ვინ გაუწვდის დახმარების ხელს?

— გაისეირნეთ, ქართველებო, აფხაზეთისკენ, სწორედ რომ დროა, იქ ახლა რუსები არ არიან, — გვაქეზებს ერთი ჭკუისკოლოფი.

ამ დეგენერატს და იდიოტს შეიძლება არ ახსოვს, რომ, როცა 90-იან წლებში აფხაზეთში „გავისეირნეთ“, მთელი ჩრდილო კავკასია აქ ჩამოგვივარდა და ისეთი საშინელებები დაატრიალეს, თავისი სისასტიკით ბუჩას და მარიუპოლის ამბებს არ ჩამოუვარდება.



ათი ათასი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა ამ ომს, სამასი ათასი ადამიანი თავისავე სამშობლოში დევნილად და ლტოლვილად იქცა.

მერე იყო ცხინვალი, სამაჩაბლო, 2008 წლის აგვისტოს ომი და ისევ მსხვერპლი, ისევ საკუთარი სახლ-კარიდან აყრილი მოსახლეობა, ისევ ათიათასობით დევნილი.

ყოველივე ამის შემდეგ რა სინდისით ეუბნებიან ვიღაც-ვიღაცები საქართველოს, ჩვენ თუ ვომობთ, თქვენც იომეთო.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ, როცა ჩვენ ვომობდით, როცა ჩვენ გვხოცავდნენ, როცა ცოცხალ ადამიანებს ჭებში ყრიდნენ, იმათი ხმა რატომღაც არ გაგვიგონია, დღეს სხვის ფართო ზურგს ამოფარებულნი, გმირობასა და ვაჟკაცობაზე დებენ თავს და ჩვენ გამბედაობასა და სიმამაცეს გვიწუნებენ.

**რა გინდათ? რას გვერჩით? რას გვთხოვთ?**

**მთელი საქართველო გინდათ უდაბნოდ იქცეს?**

**ქართველი ხალხი გინდათ მთლიანად ამოწყდეს და გადაშენდეს?**

**თუ მეგობრები ხართ, რატომ უნდა გინდოდეთ ეს?**

**თუ მტრები ხართ, მეგობრები რატომ გქვიათ?**

ხანდახან ეჭვი მღრღნის: ვიღაცებს ძალიან ხომ არ შეუყვარდათ გული ამ ტურფა ქვეყანაზე და თავისთვის ხომ არ უნდათ საქართველო, ოღონდ საქართველო ქართველების გარეშე, რომლებიც დროს „ჩამორჩნენ“ და XXI საუკუნეშიც „მამული, ენა, სარწმუნოება“-ო, გაიძახიან და „ახალი რელიგიის“ მქადაგებლებს პრაიდის ჩატარების უფლებასაც კი არ აძლევენ.

ასეთი „ჩამორჩენილი“ და „ველური“ ერის არსებობა, რა თქმა უნდა, ხელს უშლის „პროგრესული“ იდეების განვითარებას და განხორციელებას, ამიტომ, ხომ არ ჯობია, ეს ჯიუტი და თავნება ერი იმდენად დასუსტდეს და შეთხელდეს, რომ წინააღმდეგობის უნარი დაკარგოს.

ამ მიზნის მისაღწევად კი ყველაზე უებარი საშუალება სწორედ რომ ომია.

რუსეთის დასუსტებისთვის წამოწყებულ „ჯვაროსნულ“ ომში შეიძლება ჩვენ თვითონ ისე დავსუსტდეთ და ისე გამოგვეცალოს არაქათი, რომ არაფრის თავი არ გვქონდეს.

ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის შეზარხოშებულ მაღალჩინოსანს, ქართველებთან ქეიფის დროს ასეთი რამ წამოსცდა: იმ ტერიტორიას, რომელსაც თქვენ ფლობთ, პატრონად და მომვლელად მილიონ ორასი ათასი, მილიონ-ნახევარი ადამიანი ეყოფა, თქვენ კი ხუთ მილიონამდე ხართ... ეს კი ბევრია, ძალიან ბევრია ასეთი მცირე ტერიტორიისთვისო.

ჰოდა, თუ „ბევრი“ ვართ, ზუსტად რომ ომია ის უებარი საშუალება, რომელიც მოსახლეობის რაოდენობას „მისაღებ“ ნორმამდე დაიყვანს.

ბევრი მტერი ჰყავს საქართველოს, რომლებიც, ერთი ფეხი თუ დაგვიცდა, ისე დაგლეჯენ და დაინაწილებენ ამ ქვეყანას, მისგან არაფერი დარჩება.

რუსეთის მთავარმა იდეოლოგმა, დუგინმა, რამდენიმე წლის წინათ ასეთი რამ თქვა: საქართველო პატარა იმპერიაა. ჩვენ უკვე გავათავისუფლეთ აფხაზები და ოსები ქართველთა ბატონობისგან, მაგრამ კიდევ ბევრი დარჩა გასათავისუფლებელი ქართველების დიქტატისგან, მაგალითად, მეგრელები, სვანები, აჭარლები, პანკისელები, რომლებიც არ არიან ქართველები. რუსეთი მთელ საქართველოზე კონტროლს თუ დააწესებს, არავინ იფიქროს, რომ მხოლოდ ჩვენ დავეპატრონებით საქართველოს, ამ ქვეყანაზე ბევრ მის მეზობელს აქვს ტერიტორიული პრეტენზიები და ჩვენ ამ პრეტენზიებს აუცილებლად გავითვალისწინებთ.

ყოველივე ამის შემდეგ ვინც ომისკენ მოუწოდებს საქართველოს, ის, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, ქართული სახელმწიფოს დაშლასა და დაქუქმაცებაზე აწერს ხელს.

ამიტომაც საქართველოს, მოცემულ სიტუაციაში, გადარჩენის ერთადერთი გზა აქვს: როგორმე შევინარჩუნოთ მშვიდობა და ამით შევინარჩუნოთ საქართველო.



**აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს მთავრობას, ყველა იმ ადამიანს, რომლებიც გმირობისა და თავდადების ფასად, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ საქართველომ ამ ბეწვის ხიდზე მშვიდობიანად გადაიაროს.**

# ეს ომი მეორე მსოფლიო ომის პირდაპირი გაგრძელებაა, რომელიც მსოფლიოს ახალ გადანაწილებას ისახავს მიზნად

## ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს: ამ უმძიმეს ვითარებაში საქართველოს მხსნელი არის ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც დღეს იგივე როლს ასრულებს, რაც თავის დროზე დიმიტრი თავდადებულმა შეასრულა ქვეყნის გადასარჩენად



***გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა:***

**— ბატონო იგორ, რა გაგრძელება აქვს რუსეთ-უკრაინის ომს?**

— ჩემი აზრით, ეს ორი თვე საკმარისია იმისთვის, რომ სრულიად მსოფლიომ კარგად გაიაზროს და შემდეგ საკითხზე იმსჯელოს: რა ომია ეს — მხოლოდ რუსეთ-უკრაინის თუ მესამე მსოფლიო ომი?! ჩემი ღრმა რწმენით, სახეზეა მესამე მსოფლიო ომი, რომელიც ევროპის ტერიტორიაზე ვითარდება. როგორც იცით, პირველი და მეორე მსოფლიო ომიც, ასევე, ევროპის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ნიშანდობლივია ის, რომ სამივე მსოფლიო ომი ევროპის ტერიტორიაზე იწყება და არსად სხვაგან — არც აზიაში, არც აფრიკაში და ა.შ., რაც უდაოდ, საინტერესო მომენტია. აღსანიშნავია, რომ პირველი და მეორე მსოფლიო ომი რუსეთში არ დაწყებულა, არამედ ევროპაში და მერე, სხვადასხვა ქვეყნებს მოედო. ომებს შეუერთდნენ როგორც ევროპელები, ასევე, რუსები.

**— რით ახსნით, რომ ომები, ახლაც და მაშინაც, მაინცდამაინც, ევროპის ტერიტორიაზე დაიწყო და არა სადმე სხვაგან?**

— მოგეხსენებათ, ევროკავშირი კონგლომერატული გაერთიანებაა, დაახლოებით, ისეთივე, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო. საბჭოთა კავშირიც აერთიანებდა სხვადასხვა ერებს, ხალხებს, ეთნოსებს, რომლებიც ერთმანეთისგან ენობრივი ბარიერით, ყოფითი თავისებურებებით, ტრადიციით, კულტურით, პოლიტიკით, იდეოლოგიით და ა.შ. განსხვავდებოდნენ. ეს, ფაქტობრივად, ძალადობრივი გაერთიანება გახლდათ, თუმცა, გარკვეული დადებითი მხარეები მასაც ჰქონდა. ეს იყო სტალინური, რუსული სოციალიზმის გზა, რომელიც ამ ქვეყანაზე იყო მორგებული. 70-იანი წლების დასაწყისში, მოსკოვში გახლდით და ერთ-ერთ ცნობილ ქართველ ანალიტიკოსს, პროფესორს, გენერალ გიორგი ფიფიას ვესაუბრე, რომელთანაც პროფესორ გურამ მეტრეველთან ერთად ვიყავი. ჩვენი საუბარი სრულიად საიდუმლო იყო. მაშინ, მან გვითხრა: საბჭოთა კავშირი დაიშლება, ოღონდ, ეტაპობრივადო. ყოველივე, 2005 წლისთვის უნდა მომხდარიყო. თუმცა, აშშ-მ, განსაკუთრებით, რეიგანმა პროცესები დააჩქარა და საბჭოთა კავშირის დაშლა 15 წლით ადრე განხორციელდა. საბჭოთა კავშირი 2005 წელს რომ დაშლილიყო, ჩვენ, სულ სხვა შესაძლებლობები გვექნებოდა. რუსეთი, ასე თუ ისე, ყოველთვის, მსოფლიო ომების დამწყებად მოიაზრება. დღევანდელ, მესამე მსოფლიო ომში ძალიან ბევრი ქვეყანა მონაწილეობს, როგორც ეკონომიკური, ისე იარაღის მიწოდების, ასევე, ცოცხალი ძალის ჩართვის კუთხით — უკრაინაში, სხვადასხვა ქვეყნებიდან, ბევრი მოხალისე იბრძვის.

**— რა არის, ამ ეტაპზე, ორთვიანი ომის შედეგი?**

— შედეგი გახლავთ უშედეგობა იმ გაგებით, რომ უკრაინა დანგრეული, განადგურებულია. როცა ომი დამთავრდება, დავინახავთ, რომ უკრაინა უფრო მეტ დარტყმას მიიღებს და მეტად გაუჭირდება, ვიდრე ახლა. მესამე მსოფლიო ომი ჯერ არ დამთავრდება. იმედია, კატასტროფული შედეგები თავიდან აცილებული იქნება. თუმცა, ჯერჯერობით, დასავლეთიც და რუსეთიც ისეთ შეურიგებელ პოზიციებზე დგანან, გამორიცხული არაფერია. რუსეთი, ისტორიულად, დაუმარცხებელ ქვეყნად ითვლება. საინტერესოა ისიც, რომ იგი, პირველი ომს არასდროს იწყებდა — მას არც პირველი მსოფლიო ომი დაუწყია და არც მეორე. ამ შემთხვევაში კი, ომი სწორედ მან დაიწყო. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ ერთ გარემოებას — ამჯერად ეს გახლავთ სამხედრო ოპერაცია და არა ომი. თუ რუსეთი 9 მაისს ომს გამოაცხადებს, მაშინ ყოველივე სულ სხვა ხასიათს, განზომილებას მიიღებს. რა განსხვავებაა ამ ორ ტერმინს შორის? — სამხედრო ოპერაცია რუსეთის მოსახლეობის სრულ მობილიზაციას და ომის კანონების დაცვას არ ითვალისწინებს. ომს თავის კანონები აქვს, რომლის დარღვევაც საერთაშორისო სამართლით აკრძალულია. ამჯერად, რუსეთს შეუძლია რაც უნდა ის აკეთოს იმიტომ, რომ ეს სამხედრო ოპერაციაა და არა ომი. თუმცა, აქვე, იგივეს აკეთებს უკრაინა, უკრაინელებიც ხოცავენ, იბრძვიან. აქვე, უნდა გითხრათ ერთ ფაქტზე, რაც უპატიებელია ყველა ქვეყნისთვის და მით უმეტეს, ამერიკისთვის — უკრაინის ხელისუფლება, უცხოეთის დაზვერვის მასალებზე დაყრდნობით, რუსი გენერლების მოკვლის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. რაშია საქმე? — ამას ხომ უკრაინა ვერ გააკეთებს, არამედ ეს აშშ-ს ნამოქმედარია იმიტომ, რომ ამერიკის დაზვერვის მიერ რუსების დანაყოფების ადგილმდებარეობა დგინდება და რუს გერენლებზე ნადირობა მიდის. არც პირველი და არც მეორე მსოფლიო ომის დროს, მსგავსი არაფერი მომხდარა. ვფიქრობ, გენერლებზე ნადირობა სწორი გადაწყვეტილება არ არის, არადა უკრაინა ამას წარმატებულ ნაბიჯად მიიჩნევს. მათ გენერლების დახოცვა სატრაბახოდ მიაჩნიათ. ეს გახლავთ სამხედრო ტერორისტული აქტი, რასაც აშშ ახორციელებს. დიახ, ეს სახელმწიფო ტერორისტული აქტი, რომელიც სწორედ ამ გენერლების წინააღმდეგ არის მიმართული. ამ სიტუაციაში, ხომ შეიძლება იგივე, რუსეთმაც გააკეთოს? მათაც დაიწყონ ამერიკელ და უკრაინელ გენერლებზე ნადირობა და ტერორისტული აქტის განხორციელება?! ნიშანდობლივია, რომ ამას სახელმწიფო აკეთებს და არა რომელიმე ტერორისტულია ორგანიზაცია.

**— ბატონო იგორ, ზელენსკი, არესტოვიჩი, არახამია საქართველოს ომში ჩართვისკენ მოუწოდებენ. რა მიზანს ემსახურება ყოველივე?**



— როცა ზელენსკიზე ვსაუბრობთ, მიმაჩნია, რომ იგი არის პოლიტიკოსებს შორის ნომერ პირველი კომიკოსი და კომიკოსებს შორის ნომერ პირველი პოლიტიკოსი. ზელენსკი როგორც პოლიტიკური მოღვაწე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. დავსვათ კითხვა: არის თუ არა იგი დემოკრატი? — არა, იგი არავითარი დემოკრატი არ გახლავთ. მან უკრაინაში რამდენიმე ტელევიზია დახურა და 11 პოლიტიკური პარტია აკრძალა. ვინ არის ზელენსკი? — ადამიანი, რომელსაც აშშ დიდხანს ეძებდა და საბოლოოდ, მიაგნო. საინტერესოა ის, რომ აშშ პოლიტიკოსს არ ეძებდა. ზელენსკის არც პოლიტიკური ორგანიზაცია ჰქონდა და არც არაფერი. იგი სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით მოძებნეს. მისი ხელისუფლების სათავეში მოყვანა აშშ-ს მილიარდ დოლარამდე დაუჯდა. ზელენსკის მისმა „პატრონებმა“ უთხრეს: ხელისუფლებაში მოგიყვანთ, მაგრამ ის საქმე უნდა აკეთო, რაც ჩვენ გვინდა და მოგვეწონებაო. ეს არის აშშ-ს პტაგმატიზმი. ანუ, ანგლო-საქსური სახელმწიფოების აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიდგომა. ეს ორი ქვეყანა მსოფლიოს პოლიტიკურ ღერძს წარმოადგენს, რომელიც უკრაინის უმდიდრესი წიაღისეულით არის დაინტერესებული. დიახ, უკრაინას სერიოზული წიაღისეული გააჩნია დონეცკსა და ლუგანსკში.

**— ანუ, აშშ ირიბად იბრძვის უკრაინისთვის?**

— დიახ და არამარტო მისთვის. მეორე მხრივ, აშშ ბებერი ევროპის დასუსტებითაც არის დაინტერესებული. მისი მოქმედება არამხოლოდ რუსეთის, არამედ ბებერი ევროპის — გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის წინააღმდეგაც არის მიმართული, რაც უახლოეს ხანში თვალნათლივ გამოჩნდება. ცნობილია, რომ ეს ოთხეული აშშ-ს ყველაფერზე თავს არ უქნევს, რაღაც პროცესებში კიდეც ეწინააღმდეგება. ერთი მხრივ, აშშ-ს უნდა უკრაინა თავისი წიაღისეულით და სხვა სიმდიდრეებით ხელში ჩაიგდოს, მეორე მხრივ კი, იგი ევროპულ საჯდომში სადგისად გამოიყენოს. ეს ტერმინი სტალინმა ისრაელთან მიმართებით გამოიყენა — ისრაელი სადგისი არაბულ საჯდომში. აი, ასეთი სადგისი უნდა იყოს უკრაინა ევროპულ და პარალელურად, რუსულ საჯდომში. უკრაინა ევროპაში, ტერიტორიულად და სიმდიდრითაც, ყველაზე დიდი ქვეყანაა და ამერიკას მისი გაკონტროლება სურს. გარდა ამისა, აშშ-ს კავკასიის, მათ შორის, საქართველოს სადგისად გამოყენებაც უნდა. სამხრეთ-კავკასია ორ დიდ ქვეყანას — აშშ-სა და რუსეთს აქვს გადანაწილებული. ამ ყველაფერში, აშშ-ს თავისი უპირატესობები და დიდი გავლენები აქვს. ვფიქრობ, მას ანგლო-საქსური იმპერიის აღორძინება ანუ, ერთ-პოლუსიან სისტემასთან დაბრუნება სურს. ეს ომიც, სწორედ, ამის გამოხატულებაა. ვფიქრობ, ამ ვითარებაში, უკრაინის გეო-პოლიტიკურმა მიმზიდველობამ განსაზღვრა, ანგლო-საქსური იმპე-



5 გვ. →



# ვინც ბიძინა ივანიშვილს ებრძვის, ის ებრძვის საქართველოს!

გუშინ სოცქსელებში გავრცელებულ სტატიას გულიანად ჩავუჯექი.

აღმოჩნდა:

1. ბიძინა ივანიშვილს შვეიცარიული ბანკი გადარიცხვებს ხელოვნურად უჩერებს.

2. ბანკმა ბიძინა ივანიშვილის ტრანზაქციებისთვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა 4 მარტს დაიწყო. „კრედიტ სუისი" ითხოვდა არარელევანტურ დოკუმენტებს და მიუთითებდა აბსურდულ მიზეზებზე, რომ გადარიცხვები არ განეხორციელებინა, როცა ამგვარ გადარიცხვებს, სტანდარტული პრაქტიკის მიხედვით, მანამდე რამდენიმე საათი სჭირდებოდა.

3. ნახეთ: გადარიცხვის გაჭიანურების ერთ-ერთ მიზეზად ბანკმა „აღმოსავლეთ ევროპაში არსებული გეოპოლიტიკური ვითარებაც" მოიხსენია, რაც ბანკის ქმედებების აბსურდულობას ყველაზე ნათლად წარმოაჩენს.

4. 4 მარტს მოთხოვნილი გადარიცხვა ბანკმა მხოლოდ 4 აპრილს განახორციელა, თუმცა, დაბრკოლებების შექმნა მოგვიანებითაც გაგრძელებულა, როცა ივანიშვილს 14 აპრილს მორიგი გადარიცხვა მოუთხოვია. ეს თანხა ივანიშვილს დღემდე არ მიუღია.

საქმე გვაქვს გაუგონარ მოვლენასთან, როგორიც საბანკო პრაქტიკაში აქამდე, ალბათ, არასოდეს მომხდარა. შვეიცარული ბანკი ივანიშვილს საკუთარ თანხას არ ურიცხავს.

5. თუ დავეყრდნობით გავლენიანი საერთაშორისო გამოცემების შეფასებებს, რომლებიც ბანკის ასეთ ქმედებას კლიენტის ინტერესების ხელყოფის „ანტირეკორდს" უწოდებენ, სრულიად ლოგიკურია, რომ ბიძინა ივანიშვილმა ბანკს მისი ინტერესების უხეში ხელყოფის გამო სასამართლოში უჩივლა და ბუნებრივია, ამ საქმეს მარტივადაც მოიგებს.

6. როგორც ცნობილია, „კრედიტ სუისისმა" რამდენიმე წლის წინ ბიძინა ივანიშვილს მილიარდ დოლარზე მეტი მოპარა. ამ საქმის გარშემო ივანიშვილსა და „კრედიტ სუისს" შორის დავა წლების მანძილზე გრძელდებოდა და, საბოლოოდ, ბერმუდის სასამართლომ ბანკს ივანიშვილის სასარგებლოდ 600 მილიონი დოლარის გადახდა უკვე დააკისრა, დამატებით 800 მილიონი დოლარის გადახდას კი, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში სინგაპურის სასამართლოც დააკისრებს.

აი, მთავარ თემასაც მივადექით.

თუ წინა შემთხვევაში „კრედიტ სუისის" უკანონო ქმედების მოტივი ფინანსური სარგებელი შეიძლება ყოფილიყო, ამ შემთხვევაში ბანკის თვითნებობას აშკარად სხვა მიზეზი უნდა ჰქონოდა - ანუ გამოდის, რომ ივანიშვილისგან რაღაცას ელოდებიან.

შანტაჟს ყოველთვის თავისი მიზანი აქვს. როდესაც ვინმეს აშანტაჟებ, ეს ნიშნავს, რომ მისგან რაღაცას მოელი. ამით განსხვავდება შანტაჟი დასჯისგან, რის შემდეგაც შედეგს ვეღარ იღებ.

შვეიცარული ბანკის „კრედიტ სუისის" ისტორიით ჩემთვის საბოლოოდ აეხადა ფარდა იმ თამაშს, რომელიც სახეზეა. დიახ, უკვე ცხადია, რომ ომში საქართველოს ჩართვა ნაციონალებისა და მათი უკრაინელი კოლეგების კი არა, არამედ დიდი მოთამაშის ინტერესი და მიზანია. სინამდვილეში, ნაციონალები და უკრაინელები ამ დიდ თამაშში მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებლები არიან.

თუმცა ხელისუფლება ნაციონალებს აბრალებს, მაგრამ ბავშვისთვისაც კი ნათელია, რომ „ნაცმოძრაობას" იმის რესურსი ნამდვილად არა აქვს, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე საერთაშორისო დონეზე ორკესტრირებული თავდასხმა დაგეგმოს.

კერძოდ:

საქართველოდან უკრაინის ელჩის გაწვევა;

უკრაინის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების გამუდმებული თავდასხმები;

ტრადიციულად ნაციონალების ლობისტების - კუბილიუსის, გალერისა და სხვა უცხოელი პოლიტიკოსების განცხადებები;

ჰოდა, ეს ყველაფერი ზემო თქმული, სინამდვილეში, ჩემო კარგებო, ნაციონალების მიერ კი არა, არამედ სხვა ხელიდან იმართება.

დიახ, დიახ!

შვეიცარიული ბანკის მიერ ტრანზაქციების შეჩერების და ამ მასშტაბის კოორდინაციის ორგანიზების რესურსი მხოლოდ ერთ დიდ მოთამაშეს - ამერიკას აქვს.

ახლა ერთი გახმაურებული თემაც - ევტუშენკოს ზარი ივანიშვილთან.

ჩემთვის ახლა უკვე ნათელია, რომ ივანიშვილთან ევტუშენკოვსაც მათ დაარეკინეს. ყველამ იცის, რომ ბიძინა ივანიშვილს არც პუტინთან აქვს რაიმე კავშირი და რუსეთთანაც წლებია არავითარი შეხება აღარ ჰქონია. ათი წელია, ვერც ნაციონალები და ვერც მათი პატრონები რუსეთთან ივანიშვილის კავშირის ნიშან-წყალსაც ვერ პოულობენ. ივანიშვილს რუსეთთან თუნდაც მინიმალური კვეთა რომ ჰქონოდა, მათ თვალს ეს არავითარ შემთხვევაში არ გამოეპარებოდა.

სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ბაიდენის ოჯახთან დაახლოებული და ამის წყალობით სანქციებს გადარჩენილი რუსი ბიზნესმენის ერთი ზარი, ზარი, რომლითაც ივანიშვილის შანტაჟის საბაბი მარტივად შეიქმნებოდა.

თანაც, ევტუშენკოვმა არა მხოლოდ ივანიშვილთან დარეკა, არამედ „ნაცმოძრაობის" კუთვნილმა ტელევიზიებმა, „უცრად", ოპერატიულად და ძალზედ ადვილად მოიხელთეს ევტუშენკოვი, მანაც „გულახდილი საუბრები" არ დაიზარა და ასე ერთობლივად არაფრისმთქმელი რამდენიმეწამიანი სატელეფონო საუბარი თემად აქციეს და თითქმის ერთი თვე მედიაში ხელოვნურად შეინარჩუნეს.

ეს ყველაფერი იმდენად თეთრი ძაფით არის ნაკერი, რომ სხვა აზრი არც ჩნდება გარდა იმისა, რომ ეს არის შანტაჟის მიზნით დადგმული სპექტაკლი - ხვდებოდნენ, რომ შანტაჟის მიზნით, უცბად, ახალ თემას ვერ მოიგონებდნენ და ისევ 2011 წლიდან მოგონილ თემას - „ივანიშვილის რუსულ კავშირებს" მიმართეს.

აქ კი უნდა დავუბრუნდეთ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის თემას და გავყვეთ მოვლენებს.

ომი 24 თებერვალს დაიწყო, ივანიშვილს ტრანზაქციები 4 მარტს შეუჩერეს.

11 მარტს გავრცელდა 2000-მდე ნაციონალის პეტიცია ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების მოთხოვნით, რომელსაც ელენე ხოშტარია და სხვა ცნობილი უსამშობლო აგენტები აწერდნენ ხელს.

მანამდეც და მას შემდეგაც არ წყდება ნაციონალების, ენჯეო-ების და აგენტურის სხვა წარმომადგენლების გამუდმებული პირდაპირი თუ ირიბი საუბრები სანქციების დაწესების პერსპექტივის შესახებ, რომლებიც, ასევე, მხოლოდ შანტაჟის მიზანს ემსახურება.

საკმარისი ესეც რომ არ აღმოჩნდა, ივანიშვილთან ევტუშენკოვს დაარეკინეს, რასაც, უცხოელი ლობისტებისა და უკრაინის ხელისუფლების ჩინოვნიკების მონაწილეობით ახალი კამპანია მოაყოლეს.

აპრილის პირველ რიცხვებში ამერიკიდან საქართველოში ჩამოდის პიტერ აკერმანი, რომელიც ხელისუფლების გადატრიალების მიზნით ატრენინგებს რადიკალურ ოპოზიციას, მათ კუთვნილ ტელევიზიებს და ენჯეო-ებს.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით მარტივი ლოგიკით მივდივართ იმ სამწუხარო რეალობასთან, რომ ამ ფატალურ ომში საქართველოს ჩართვა სწორედ დიდ მოთამაშეს სურს. მათი სურვილი სრულიად გასაგებია. ისინი არ მალავენ, რომ უკრაინაში მიმდინარე ომს საკუთარ ომად განიხილავენ და ამ ომში რუსეთის დამარცხება სურთ.

ამაზე ღიად საუბრობს მთელი პოლიტიკური ისტებლიშმენტი - ბაიდენით დაწყებული და რიგითი პოლიტიკოსებით დამთავრებული. სწორედ იმისათვის იხარჯება უზარმაზარი თანხები და სწორედ იმიტომ აწვდიან უკრაინას შეიარაღებას, რომ რუსეთმა უკრაინაში მის მიერ დაწყებულ ომზე კისერი უნდა მოიტეხოს.

ომში საქართველოს ჩართვა, ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანას საბედისწერო დარტყმას მიაყენებდა, მაგრამ ომში რუსეთის დამარცხების შანსებს გაზრდიდა. შესაბამისად, დიდი მოთამაშის ინტერესი და მიზანი ძალიან ადვილი ასახსნელია.

ცხადია, რომ ბიძინა ივანიშვილზე შანტაჟიც ამ მიზნით ხორციელდება. შვეიცარიული ბანკი, რომელიც, როგორც წესი, ნებისმიერ ტრანზაქციას მყისიერად ახორციელებს, ივანიშვილს გადარიცხვებს კვირების განმავლობაში უჩერებს, რასაც, ბუნებრივია, ვერავითარი ტექნიკური მიზეზი ვერ ექნება. საქართველოს ომში ჩართვის მიზანი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ამისათვის შვეიცარიას ანგრევინებენ საბანკო სისტემის რეპუტაციას, რაზეც შვეიცარიის სახელმწიფო სისტემა დგას.

რის თქმასაც დიდი მოთამაშე ღიად ვერ ბედავს, იმას უკრაინულ და ქართულ აგენტურას ალაპარაკებენ. როდესაც არესტოვიჩი, პოდოლიაკი, ლომჯარია, გიგაური, მარგველაშვილი, უსუფაშვილი და სხვები ომში საქართველოს ჩართვის საჭიროებაზე საუბრობენ, ამით, ისინი, სინამდვილეში, თავიანთი პატრონის მესიჯს ახმოვანებენ.

ვინმეს ივანიშვილის დასჯა რომ უნდოდეს, ბუნებრივია, ამის საბაბსაც იოლად მოძებნიდა. დიდ პოლიტიკაში ვინმეს დასჯა თუ გინდა, ამისათვის ნებისმიერი მოგონილი საბაბიც კი საკმარისი იქნებოდა. თუმცა ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ რაიმე სანქციის დაწესება სულ მცირე, ქართულ საზოგადოებას გაანაწყენებს, მით უმეტეს, როგორც ივანიშვილმა შარშან განაცხადა, იგი მისი ფინანსების სულ მცირე 90 პროცენტის საქართველოში ქველმოქმედებაზე დახარჯვას აპირებს.

თუ ადამიანისგან რაიმეს მიღება გინდა, მას სიკვდილით უნდა დაემუქრო. ცხადია, თუ მუქარა აასრულე და კაცი მოკალი, მისგან ვეღარაფერს მიიღებ. დასავლეთი რუსეთს სანქციებით კი არ დაემუქრა, არამედ სანქციები დაუწესა, რადგან რუსეთისგან არა რაიმეს მიღება, არამედ მისი დასჯა სურდა. ამ შემთხვევაშიც ეს მარტივი ლოგიკა მუშაობს - ბიძინა ივანიშვილს იმიტომ აშანტაჟებენ, რომ მისგან საქართველოს ომში ჩართვა უნდათ, მაგრამ მუქარას თუ სისრულეში მოიყვანენ და სანქციას აამოქმედებენ, მისგან რაიმეს მიღების რესურსი სრულად ამოიწურება. დასჯილ ადამიანს არაფრის გაცემის არც რესურსი და არც მოტივაცია აღარ აქვს. შესაბამისად, შანტაჟის ავტორებისთვის ძალიან მარტივი გასათვლელია, რომ, სანქციის დაწესების შემთხვევაში, ისინი ვერავითარ შედეგს ვერ მიიღებენ. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რომ ივანიშვილის „ფარული შანტაჟით" მიაღწევდნენ სასურველ მიზანს - საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას.

აქ კი, ჩემო მეგობრებო, მინდა გითხრათ, რომ ამ შანტაჟიორებმა, ომის პარტიის მესვეურებმა, საერთოდ არ იციან ბიძინა ივანიშვილის ხასიათი და ვერც თავის პატრონებს მისცეს სწორი რჩევები. მე მუდმივად მხარს ვუჭერდი ბიძინა ივანიშვილს და არც ვმალავდი ამას,



თუმცა, ამავე დროს, „ჩასაფრებული" ვცდილობდი, დამეჭირა მისი პოლიტიკური ნაბიჯების ლოგიკა.

ჰოდა, სწორედ ამ ლოგიკიდან გამომდინარე, როცა ყველაფრით უზრუნველყოფილმა ადამიანმა 2011 წელს ქვეყნის გადარჩენისთვის პირდაპირი მნიშვნელობით თავი გადადო, შეუძლებელია, ფულის დაკარგვის შიშით, დღეს ვინმეს ქვეყანა გაანადგურებინოს.

დიახ, მე ასე ვხედავ, ასე მჯერა და მწამს.

რამე თუ, საქართველოა უპირველეს ყოვლის!

---

**რედაქციისგან:**

**ქვეყნის მოყვარული საზოგადოება და ხალხი დიდი ხანია შეგუებულია ქართველი ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილის მიმართ განხორციელებულ ათასგვარ ბინძურ პროვოკაციებს, რომლებიც, თავისთავად ცხადია, მერკანტილური და სამარცხვინოდ შურისმაძიებლური განწყობებით არის ნაკარნახევი.**

**სწორედ ამაზე საუბრობს ქალბატონი ხათუნა ხოფერია სოციალურ ქსელში გავრცელებულ თავის წერილში, რომელშიც ობიექტურად და დასაბუთებულად არის გაანალიზებული ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციების ნამდვილი მიზეზები.**

**ჩვენს ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ არსებული მტრული ძალები მიზანმიმართულად და დროის შერჩევით ცდილობენ განახორციელონ ზეწოლები ბიძინა ივანიშვილზე, რაც, თავისთავად, საქართველოზე ზეწოლას ნიშნავს. ამ მავნებლური სანქციებით, გარკვეული ძალები, თავიანთი ჭკუით, არა მხოლოდ კერძოდ ბიძინა ივანიშვილს აყენებენ ზიანს, არამედ საქართველოს სახელის დისკრედიტაციასაც ახდენენ: აი, რუსი ოლიგარქი საქართველოში ცხოვრობს და მეტიც, მან 2012 წელს შეძლო ხელისუფლებაში ახალი ძალა მოეყვანა.**

**ეს მავნებლური ძალები ქვეყნის შიგნიდან და ქვეყნის გარედან, ამ ლოგიკით ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ხელისუფლებას, რომელიც სრულიად ქართველი ხალხის ინტერესებს ახმოვანებს და ემსახურება და მთელი ძალების დაძაბვით ცდილობს საქართველო მშვიდობიანად გაატაროს ბეწვის ხიდზე, აარიდოს დამანგრეველ ომს, რაც, საბოლოო ჯამში, დამღუპველი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.**

**ვინც მოწადინებულია საქართველოში მეორე ფრონტი გაიხსნას, მათი მომხრეები ქვეყანას დასავლეთსა და აშშ-ში სახელს უტეხენ და საქართველოს მოქალაქეებს მიზანმიმართულად უქრობენ ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის იმედებსა და პატივისცემას, ყველა საშუალებით ცდილობენ, ქართველმა ხალხმა ზურგი შეაქციოს ევროსტრუქტურებსა და ნატოს...**

**ფაქტია: ვინც ბიძინა ივანიშვილს ებრძვის, ის ებრძვის საქართველოს. ყველამ კარგად უნდა დაიმახსოვროს: ქართველი ხალხი არ დაუშვებს, რომ ქვეყნის ყველაზე დიდ მოამაგეს და ჭირისუფალს — ბიძინა ივანიშვილს, სრულიად დაუმსახურებლად და უსამართლოდ, პროვოკატორებისა და ავანტურისტებისგან რაიმე ზიანი მიადგეს.**

**ქართველი ხალხი ბოლომდე დაიცავს თავის ღირსეულ შვილს, ბიძინა ივანიშვილს ისევე, როგორც დაიცავს საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ერთგულად და თავდადებით ემსახურება.**

„საერთო გაზეთის" სახელით
**ირანდა კალანდაძე**

# ეს ომი მეორე მსოფლიო ომის პირდაპირი გაგრძელებაა, რომელიც მსოფლიოს ახალ გადანაწილებას ისახავს მიზნად

3 გვ.

რიის მესაჭეებს რუსეთ-უკრაინის ომი დაეწყოთ.

**— როგორც ჩანს, დასავლეთი მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლაზე გაჩერებას არ აპირებს?**

— რა თქმა უნდა, მისი მიზანი რუსეთის დაშლაა. ეს საინტერესო მომენტია. რუსეთის დაშლის გეგმა 90-იან წლებში მომზადდა, რომელიც რეგიონალურ და საერთაშორისო კონფლიქტებს, ტერორისტულ ქმედებებს, ეკონომიკურ სანქციებს, სახელისუფლებო გადატრიალებებს, ნაციონალურ უმცირესობებში შუღლის ჩამოგდებას, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების სტრუქტურებში ლიბერალური განწყობილების გაძლიერებას და ა.შ. ითვალისწინებდა. ამიტომაც, მესამე მსოფლიო ომისთვის ახალი პოლიტიკური რეალობა შეიქმნა.

**— დღეს, აშშ ზელენსკის და არესტოვიჩის პირით ომის დაწყებისკენ გვიბიძგებს. რა მიზანს ემსახურება ყოველივე?**

— საქართველო აშშ-ს პარტნიორი ქვეყანაა. თუმცა, იგი, აშშ-სგან უკრაინის მსგავს პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას ვერასდროს მიიღებს. ჩვენ 2008 წელს ომი გამოვიარეთ და რა მივიღეთ? სხვათა შორის, არც უკრაინისგან მიგვიღია არაფერი. ღმერთმა დაგვიფაროს, ომი რომ დაიწყოს, კვლავ ვერაფერს მივიღებთ. თუმცა, ამერიკისთვის უკრაინის გამარჯვება კი არ წარმოადგენს მთავარ მოცემულობას, არამედ რუსეთის და ჩინეთის დამარცხება.

**— როგორ ფიქრობთ, ამ ბრძოლაში რამდენად ეფექტურია აშშ-ს სანქციები?**

— როგორც ვხედავთ, აშშ ამ ომში იარაღით არ მონაწილეობს. იგი ჩამოყალიბდა მხარედ, იარაღით მონაწილეობის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ამერიკა არ მიესალმება რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებას. მეტიც, რუსეთის მიმართ სრული ეკონომიკური სანქციების ამუშავებას უწყობს ხელს. ეს სანქციები ნელ-ნელა უნდა განხორციელდეს. ასე, რომ ომი ასე მარტივად არ დამთავრდება. მათი ამოცანაა უკრაინასთან დამარცხებულ რუსეთს ეკონომიკური კრიზისი დაუდგეს. საინტერესოა ისიც, რომ ჩინეთში რუკა შეადგინეს. ასეთი გეგმა აშშ-შიც მუშავდებოდა რომლის თანახმად რუსეთის ტერიტორიების გადანაწილება უნდა მომხდარიყო. ამ რუკით აშკარაა, რომ საქართველოს შეიძლება სხვა ტერიტორიები მიემატოს. აქ, ლაპარაკიაიმაზე, რომ მის შემადგენლობაში უნდა შემოვიდეს აფხაზეთის, სამხრეთოსეთის, ასევე, კრასნოდარის ტერიტორიაც. საქმე რაშია? — მათი გეგმით, რუსეთი სხვადასხვა ქვეყნებად უნდა დაიშალოს. ანუ, მთლიანად კი არ განადგურდება, არამედ გარკვეულ ტერიტორიებს წაართმევენ, რომლის დიდ ნაწილს ჩინეთი, ამერიკა წაიღებს, ზოგიც, რუსეთს დარჩება. აქ, უკრაინის კი არა, რუსეთის დაშლაზეა ლაპარაკი. ანუ, მესამე მსოფლიო ომი უკრაინის კი არა, რუსეთის დაშლასთან არის მიბმული იმ ეკონომიკური სანქციების დახმარებით, რაც დასავლეთმა წამოიწყო. უნდა გითხრათ, რომ რუსეთის დაშლის პროცესი, ადრე, ჯერ კიდევ ელცინის დროს იყო დაწყებული. ბენ ლადენი გახლდათ სოხუმში და ამ საკითხზე მსჯელობა ჯერ კიდევ მაშინ მიდიოდა. რუსეთის დაშლის პროცესი კავკასიიდან იწყებოდა. დიახ, რუსეთის დაშლა კავკასიიდან უნდა დაიწყოს იმიტომ, რომ იგი ამ ქვეყნის მიერ არის დაპყრობილი. თუ დავაკვირდებით, ახლა ამის განხორციელებას იწყებენ, რაც ისევ და ისევ აშშ-ს გეგმაა. მიზანი შემდეგი იყო: რუსეთის წინაალმდეგ მარტო უკრაინას კი არ უნდა ეომა, არამედ ფრონტი სამი მიმართულებით უნდა გაშლილიყო: უკრაინის, კავკასიის, განსაკუთრებით კი, საქართველოს და აზიის მიმართულებით. ყველას გვახსოვს, ახლახან, რა პროცესები დაიწყო ყაზახეთში. თუმცა, რუსეთმა „ცეცხლი" ჩააქრო. აღნიშნული გეგმა მაშინაც არსებობდა.



**— დავუშვათ, დასავლეთმა აიხდინა ოცნება და რუსეთის იმპერია დაანგრია. რა ხდება მერე, ამით, ეშველება საქართველოს?**

— ძალიან საინტერესო კითხვაა. ხშირად გვესმის: უკრაინა გაიმარჯვებს, რუსეთი დამარცხდება, ან პირიქით. მერე, რა ხდება?! ეს სიტუაცია ზღაპრის სიუჟეტს მაგონებს: წახვალ მარჯვნივ — დაიღუპები, წახვალ მარცხნივ — დაიღუპები. ი, ასეთ ვითარებაშია დღეს საწყალი საქართველო. რატომ მივედით აქამდე? ერთი მხრივ, ჩვენს ოპოზიციაში არიან ძალები, რომელთაც ქვეყნის ომში ჩათრევა სურთ. იგივე, სურთ გარე ძალებსაც, რომ რუსეთის წინაალმდეგ რამდენიმე ფრონტი გაშლილიყო, რათა ეს უკანასკნელი გამოფიტულიყო. სამხედრო ოპერაცია კავკასიაშიც, უკრაინაშიც, დნეპრისპირეთშიც თუ ჩატარდებოდა, ეს, უკვე, პროცესებს სხვა მიმართულებას მისცემდა. ასე, რუსეთი ნაკლებად შეძლებდა გამარჯვებას. ასეთ ომებში მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები მონაწილეობენ. გავიხსენოთ, სირია, ერაყი, ავღანეთი. უფრო ადრე, ამერიკა ომებს აწარმოებდა ვიეტნამში და კორეაში, სადაც საშინელებები დაატრიალა. ახლა, რუსეთის სისასტიკეზე საუბრობენ. მანამდე, ბევრად უარესი ამერიკელებს აქვთ გაკეთებული. ომი ომია და ამ დროს ყველაფერი ხდება. ჩემმა მეგობარმა, ვახტანგ ხარჩილავამ გენიალურად თქვა: მხოლოდ პუტინის ბომბები კლავს, ხოლო ბაიდენის მიერ ფეშქაშად გამოგზავნილი ბომბები ადამიანებს ვარდის ფურცლებად ეყრებათ თავზეო?! ეს შესანიშნავი ფრაზაა. სხვათა შორის, ამ საინტერესო ფრაზის გამო, ბევრმა პოლიტიკოსმა დამირეკა. კიდევ, განვმეორდები: ეს გენიალური ნათქვამი და შეფასებაა იმ პროცესებისა, რაც დღეს მიმდინარეობს. მარტო ეს შეფასება კმარა სწორი ანალიზის გამოსატანად. ახლა, ყველამ — აგრონომმა, კბილის ექიმმა, მშენებელმა პოლიტიკური მიმომხილველობა დაიწყო. ასე არ ხდება! ფრაზა, რაც ვახტანგ ხარჩილავამ თქვა, ყველა ანალიტიკოსი რომ შეაერთო, მსგავსს ვერავინ იტყვის.





**— რუსეთი, ალბათ, რაღაც ეტაპზე შეჩერდება. მერე რა ხდება, როგორ გაგრძელდება შუა გზაზე შეწყვეტილი, ხელოვნურად შეჩერებული პროცესები?**

— ძალიან საინტერესო, სიღრმისეული, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კითხვაა. ზელენსკიზე რა გითხრათ? — როგორც თაკო ჩარკვიანს არ მოეკითხება პოლიტიკის მიმართულებით ჭკუა, ისევეა, უკრაინის პრეზიდენტის შემთხვევაშიც. აი, ჯონსონის შეურიგებელი განწყობილება კი, ძალიან მიკვირს. იგი დაუვარცხნელი თავისა და აზრების პატრონი ადამიანი გახლავთ. ჯონსონი ომისგან გაბედნიერებული ბოროტების წარმომადგენელია. ამბობს: რუსეთმა ატომური ბომბი თუ გამოიყენა, მაშინვე თავს დავესხმებიო. რუსეთს გააჩნია იარაღი — „სარმატი", რომელიც მსოფლიოში არავის აქვს, მაგრამ არ იყენებს. რუსეთმა ეს რომ გამოიყენოს, ბრიტანეთი ჩაიძირება. ჯონსონი იმდენად გაბოროტებულია, არ უფიქრდება, რომ ეს მსოფლიოს განადგურება იქნება. ზელენსკი, ბაიდენი, ჯონსონი და ა.შ. ვარიანტული დემოკრატები არიან, რომელთაც ათასობით ადამიანი ეწირება. აქვე, უნდა ითქვას, რომ დღეს უკრაინა ყველაზე ჩაკეტილი ქვეყანაა, არავინ იცის, იქ, რა ხდება. შემზარავი საიდუმლოებებია, რასაც დრო გამოამზეურებს. ანგლო-საქსურ სამყაროს, მსოფლიო სასაკლაოსკენ მიჰყავს. ამ ორომტრიალში, ჩვენ, შეუმდგარი სახელმწიფო ვართ. დიახ, ჩვენ გვაქვს ქვეყანა, სამშობლო, მაგრამ სახელმწიფო არ არის შემდგარი. ესაა უბედურება. არ შეიძლება ყველა უბედურების წყაროდ მხოლოდ რუსეთი ჩავთვალოთ და დასავლეთის წინადადებებს ხბოს აღტკინებით შევხვდეთ. პირდაპირ გეტყვით, ამჟამად, დასავლეთს პოლიტიკოსები არ ჰყავს. მათ გამოსვლებს რომ ვუსმენ, მხოლოდ პროპაგანდა და მეტი არაფერია. ისინი პროპაგანდისტები არიან, რაც აშშ-ს პერზიდენტისგან იწყება და მიმართულია არამარტო რუსეთის, არამედ სამყაროს წინაალმდეგ. უკრაინა დაინგრა. რას აკეთებს, ამ დროს, ამერიკა? — მდიდრდება. რა გზა უნდა აირჩიოს საქართველომ? — ჩვენ, არც ბაიდენი გვჭირდე-

6 გვ.





# ეს ომი მეორე მსოფლიო ომის პირდაპირი გაგრძელებაა, რომელიც მსოფლიოს ახალ გადანაწილებას ისახავს მიზნად

← 5 გვ.

ბა, არც ჯონსონი, არც ზელენსკი და არც პუტინი, არამედ კონსტიტუციიდან ნატოში გაწევრიანების ფორმულირება უნდა ამოვიღოთ, როგორც ეს მოლდოვამ გააკეთა. ნეიტრალიტეტი უნდა ავირჩიოთ. თავდაპირველად, კონსტიტუციაში ეწერა, რომ საქართველო ნეიტრალური ქვეყანა უნდა იყოს, რასაც ზვიად გამსახურდია იზიარებდა. ეს იყო მისი გზა და ამიტომაც ჩამოიშორეს. ასე თუ არ მოვიქცევით, ნგრევას მივიღებთ, სხვა გზა არ გვაქვს. ამაზე, უკრაინაშიც დაიწყო საუბრები. აქვე, ერთ გარემოებაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო: უკრაინის ხელისუფლებაში სლავები არ არიან. როგორ წარმოგიდგენიათ, საქართველოს ხელისუფლებაში ქართველი საერთოდ რომ არ იყოს?! უკრაინის პრეზიდენტიდან დაწყებული, ხელისუფლებაში სლავი არავინ არის. ზელენსკი, როგორც აღვნიშნეთ, ამერიკელების მიერ მოყვანილი „გმირია“, რომელსაც იარაღით 30 ქვეყანა ამარაგებს. როგორ უნდა განვითარდეს უკრაინა, როცა იგი ამერიკელების ყმად იქცა. ამერიკა გახდება მისი მფარველიც და მფლობელიც. უკრაინას მხოლოდ ამერიკის ვალი 5 მილიარდი დაუგროვდა, თუმცა, იარაღის მიწოდება ისევ გრძელდება. აშშ განიხილავს უკრაინისთვის ლენდ-ლიზით იარაღის მიწოდებას, რაც ითვალისწინებს მოკავშირე ქვეყნებისთვის, რომელთან ერთადაც ომობს, ხანგრძლივი ვადით, იარაღის ვალად მიწოდებას. ეს ნიშნავს, რომ უკრაინა დიდი ხნით იქნება დამონებულ მდგომარეობაში. ამ სიტუაციაში, მას, ეკონომიკური ბლოკადა ემუქრება. ამ დროს, ეს ქორები — ბაიდენი, ბლინკენი, ოსტინი, ჯონსონი ზელენსკის საბრძოლო მოქმედების არეალის გაფართოებისკენ მოუწოდებენ. პუტინი რომ გადაირიოს და ღილაკს ხელი დააჭიროს, სამყარო ხომ დაინგრევა?! ამაზე რატომ არ ფიქრობენ?! — იმიტომ, რომ ამ ქვეყნებში პოლიტიკოსები კი არა, ჩინოვნიკები დარჩნენ. რით ავხსნით ბარელის სიტყვებს: გამარჯვება, უშუალოდ, ბრძოლის ველზეა მოსაპოვებელიო. მსგავსი რამ, არცერთ დიპლომატს არ უთქვამს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანები უნდა დავხოცოთო. გესმით, დიპლომატი ამბობს: იომეთ, ერთმანეთი დახოცეთ, არავითარი დიპლომატიაო. აქეთ, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გვეუბნება: საქართველომ გამბედაობა გამოიჩინოს და რუსეთს შეუტიოსო. ეს



მაშინ, როცა რუსეთთან პირდაპირ ომში ჩართვაზე უარს აცხადებს თავად ამერიკაც, ნატოც, ბრიტანეთიც. ამის მერე, მათი როგორ უნდა გვწამდეს. არადა, ჩვენი ოპოზიციონერები მათ ამ ფრაზებისთვის ტაშს უკრავენ.

**— რას იტყვით, ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულებაზე რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებით?**

— ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს: ამ უმძიმეს ვითარებაში საქართველოს მხსნელი გახლავთ ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც დღეს იგივე როლს ასრულებს, რაც თავის დროზე დიმიტრი თავდადებულმა შეასრულა ქვეყნის გადასარჩენად. იგი ღირსეულ გადაწყვეტილებებს იღებს. ყველამ ვიცით, რომ ახლა ხდება არა რუსეთ-უკრაინის, არამედ ნატოსა და რუსეთის შეტაკება ევროპის ტერიტორიაზე. ამერიკა ან ბრიტანეთი კი არ ინგრევა, არამედ უკრაინა. სირიაშიც იგივე ხდებოდა, იქ, 2014-16 წლებში ამერიკელებიც იყვნენ, თურქებიც, რუსებიც და სხვებიც, მაგრამ სირიელების სისხლი იღვრებოდა. ერთსაც გეტყვით: აღნიშნული ომი მიმართულია ევროპის ძარცვისა და გაკოტრებისკენ. ანუ, ევროპული კაპიტალის შტატებში გადანაცვლებისკენ. იცით, რა სურს ამით, აშშ-ს? — მას 30 ტრილიონზე მეტი საგარეო ვალი აქვს. ამ ომით ამერიკა მდიდრდება. სწორედ, რუსეთ-უკრაინის ომით უნდა თავი დააღწიოს იმ ეკონომიკურ კრიზისს, რაც მას აქვს. დიახ, ამერიკაში კრიზისული სიტუაციები სწორედ ამ ომმა შეაჩერა. 1950 წლიდან მოყოლებული აშშ-მ შეძლო დოლარი, მთელ მსოფლიოში, გადახდის საშუალება ყოფილიყო. ახლა, ეს წესი იცვლება. ჩინეთი და სხვა ქვეყნები საკუთარ ვალუტაზე გადადიან. მსოფლიო, ფაქტობრივად, ეკონომიკურ ზონებად დაიშალა, რომელთაც თავიანთი ვალუტა გააჩნიათ. ეს აშშ-ს არ აწყობს. ზემოთ მოგახსენეთ, რისთვის მიდის ბრძოლა, რომელიც ამ ომით, ამერიკის სცენარით, დაიწყო. პოლიტიკური ბალანსია საჭირო. ჩვენ, ომში კი არ უნდა ჩავებათ, არამედ დიპლომატიით მოსალოდნელი უმძიმესი ვითარება თავიდან უნდა ავიცილოთ. იცით, რომ 2022 წელს, ომის დაწყებამდე, რუსეთმა და ჩინეთმა, სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ დოკუმენტს ხელი მოაწერეს. პეკინი, ამჯერადაც, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნეიტრალიტეტს ირჩევს. მას უკრაინის მიმართ განხორციელებული აგრესია პირდაპირ არ დაუგმია, არც სანქციები დაუწესებია, მაგრამ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას ემხრობა. ეს არის პოლიტიკა, დიპლომატია. ამით ჩინეთს სურს, რომ ამერიკა ერთ-პოლუსიანი პოლიტიკის მატარებლის მესაჭის როლში არ იყოს.

**— საბოლოოდ, ვინ მოიგებს ამ ომში?**

— არავინ, აშშ-ს გარდა. ევროპა ვერ დარჩება მოგებული, რადგან რუსეთისგან გაზის და ნავთობის მიწოდების შეწყვეტა, მას მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს. ეს ამერიკას არ ეხება. პირიქით, მას ამ ომმა სიძლიერე მოუტანა. თუ რუსეთი ომის კანონებს აამოქმედებს, ჩვენთვის კარგი იქნება იმიტომ, რომ აკრძალულ იარაღს ველარ გამოიყენებს. სჯობს, მან ომი გამოაცხადოს, ვიდრე სამხედრო ოპერაცია მიმდინარეობდეს.

ბოლოს, მათთვის, ვინც რუსეთისთვის ომის გამოცხადების მომხრეა, მინდა ვთქვა: რუსეთს აფხაზეთშიც და სამხერთ-ოსეთშიც თავისი ბაზები აქვს. ასევე, აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდილო-კავკასიაშიც. რუსეთის მებრძოლების მცირე ნაწილი — 500-კაციანი რაზმიც რომ გადმოვიდეს საქართველოში, სრულიად საკმარისი იქნება, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის გამავალი მთავარი მაგისტრალი დაიკავონ და ყველაფერი დამთავრებულია. ასევე, შეუძლია რაკეტები, პირდაპირ, კავკასიიდან გადმოუშვას და აქ, ჩეჩნური რაზმები შემოიყვანოს. ამიტომ, როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ, რუსეთს ომი უნდა გამოვუცხადოთ! რბილად რომ ვთქვა: ეს არასწორი პოზიციაა. ოპოზიცია გაიძახის: რუსეთი დასუსტებულია, ფიზიკური რესურსი არ გააჩნიაო. მინდა გითხრათ, რომ მას, საქართველოს დასაბომბად, საკმარისი რესურსი გააჩნია. ვიმეორებ: მაგისტრალებსაც გადაკეტავს და სამხედრო ძალით საქართველოს დაშლის. მეორეც, მას შეუძლია ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად აზარალოს და მესამე — იქ მცხოვრებ მილიონ ქართველ მოქალაქეს პრობლემები შეუქმნას, რაც უკვე საქართველოს განადგურებას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ომით ვერა, მაგრამ ეკონომიკურად მას მთელი სივრცის განადგურება შეუძლია. ასე, რომ ეს ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად უნდა იცოდნენ. სამწუხაროდ, საქართველოში მოაზროვნე პოლიტიკოსი თითზე ჩამოსათვლელია, სამაგიეროდ, უხვად არიან პოლიტიკით მოთამაშეები. აი, ასეთ ვითარებაში ვართ.

ეს ომი მეორე მსოფლიო ომის პირდაპირი გაგრძელებაა, რომელიც მსოფლიოს ახალ გადანაწილებას ისახავს მიზნად.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24









# როგორ გათქვა გიგილო გამოგიგილოებულმა „ნაცმოძრაობის“ ფარული ოცნება?

## ვის აძლევს ყველაზე მეტად ხელს სააკაშვილის სიკვდილი, საითკენაც ასე დაჟინებით უბიძგებენ მას მისი „კეთილისმყოფელები“?

— სააკაშვილს წამლავენ! სააკაშვილს აწამებენ! სააკაშვილს არ მოგაკვლევინებთ! — დიდი ხანია, ასეთი საგანგაშო ლოზუნგები ისმის სააკაშვილის მხარდამჭერებისგან, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, „ემპათიისგან“, სახალხო დამცველისგან, „ნაცმოძრაობის“ ჯიბის ტელევიზიებიდან.

მიადგებიან ამ ლოზუნგებით შეიარაღებული მხარდამჭერები რუსთავის ციხეს, დადგებიან სააკაშვილის საკანთან და რაც შეიძლება ხმამაღლა, ისე, რომ პატიმარმა კარგად გაიგონოს, ხმაშეწყობილად სკანდირებენ, რომ სააკაშვილი კვდება.

ნებისმიერ ჭკუათმყოფელ ფსიქოლოგს ჰკითხეთ, რა დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე ასეთი მიზანმიმართული ზეწოლა, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადამიანმა



ადვილად დაიჯეროს, რომ მართლაც ძალიან ცუდად არის, რომ მართლაც კვდება და გარედან ნაკარნახევ „ინსტრუქციას“ დაემორჩილოს და დაჰყვეს.

ცოდვას ვერ დავიდებ და იმის მტკიცებას არ დავიწყებ, რომ ამას გააზრებულად, შეგნებულად აკეთებენ სააკაშვილის გულშემატკივრები, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ რაღაც ჯგუფმა, რომელიც იდეოლოგიურად წარმართავს ამ საპროტესტო აქციებს, შესანიშნავად იცოდეს, რასაც აკეთებს.

ბევრისგან თქმულა, ბევრჯერ თქმულა და მეც გავიმეორებ: თუ ვინმეს კატეგორიულად ხელს არ აძლევს სააკაშვილს რაიმე დაემართოს ციხეში, ეს არის საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, თუმცა ნაციონალები სწორედ ხელისუფლებისკენ იშვერენ თითს და სააკაშვილის მოკვდინების მცდელობაში მას ადანაშაულებენ, რაც არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

თუმცა არსებობს სხვა ლოგიკა, რომლის მიხედვითაც თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირიქით არის ეს ყველაფერი და მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში **სწორედ „ნაციონალური მოძრაობაა“ ის პოლიტიკური ძალა, რომლისთვისაც ცოცხალი სააკაშვილი მძიმედ სათრევი ტვირთია, მაგრამ მკვდარი სააკაშვილი ხსნა და შველაა, მაშველი რგოლია,** რომლის წყალობითაც ეს გაკოტრებული და ჩასაძირად განწირული ორგანიზაცია შეიძლება გადარჩეს და მისმა მოქმედებებმა ახალი მოტივაცია და გააქტიურებისთვის საჭირო ახალი მუხტი შეიძინოს.

პიროვნულად შეიძლება არც „ნაცმოძრაობაში“ უნდა ვინმეს სააკაშვილის გარდაცვალება, მაგრამ პოლიტიკა ისეთი სასტიკი საქმეა, რომ შეიძლება ძალიან მძიმე და არაადამიანური ზრახვები აღგიძრას გონებაში.

გიგი უგულავამ, რომელიც ბოლო ხანებში სააკაშვილის ფანატიკოს მხარდამჭერად იქცა, ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში, ფაქტობრივად, გაშიფრა ის გეგმა, რომელიც სააკაშვილის სიკვდილის შემთხვევაში „ნაცმოძრაობამ“ შეიძლება მთელი სიმძლავრით აამუშაოს.

უგულავამ, რომელიც თავისი ექსცენტრიკული ხასიათის წყალობით ხშირად კარგავს წონასწორობას და ისტერიკაში vardება, ამჯერადაც ვერ შეიკავა თავი და პირდაპირ განაცხადა, რომ, თუ სააკაშვილის ციხიდან მკვდარს გამოასვენებენ, ისიც და სხვებიც მზად არიან, ხელისუფლებას შუა საუკუნეების მეთოდებით გაუსწორდნენ.

ძალიან მძიმე ნათქვამი ხომ არ არისო, — ჩაეკითხა ჟურნალისტი, რომელმაც, როგორც ჩანს, უგულავას განცადებაში ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობისკენ მოწოდების ნიშნები დაინახა.

— აბა, როგორ გინდათ, კბილი კბილის წილ, როგორც ხელისუფლება გვებრძვის შუა საუკუნეების მეთოდებით, ჩვენს ისე უნდა ვებრძოლოთ... შვილები ჰყავთ, შვილიშვილები ჰყავთ, აქ ცხოვრება არ უნდათ? — ბობოქრობდა უგულავა და ღიად ემუქრებოდა ხელისუფლებას ანგარისწორებით.

უგულავას განცხადების მიხედვით ნათლად იკვეთება შემდეგი სურათი: აზვირთეული, აბობოქრებული, ჭკუიდან გადასული მასა, წინ წამძღვარებული სააკაშვილის კუბოთი, როგორ მიემართება სახელმწიფო სტრუქტურების დასარბევად და ხელისუფლების დასამხობად.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ძალას აუცილებლად დაუპირისპირდება და მის შეჩერებას შეეცდება მეორე ძალა — „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, მრავალრიცხოვანი საზოგადოება, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია სააკაშვილის რეჟიმის სისასტიკე და რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებას.

არეულობა, ქაოსი, სამოქალაქო დაპირისპირება, უმართავი პროცესები — აი, ეს არის ის, რაზეც დიდი ხანია ნაცები ოცნებობენ და რასაც, ბოლოს და ბოლოს, აიხდენენ, თუ გაუმართლათ და სააკაშვილი ციხეში მოკვდა.

მკვდარი სააკაშვილი — ეს არის ის ბოლო „კაპიტალი“, რაც ნაციონალებს მარაგში შემორჩათ.

მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ მოარული ხმები იმის შესახებ, რომლებიც დროგამოშვებით ვრცელდებოდა საზოგადოებაში.

ამ ხმებს თუ დავუჯერებთ, ნაციონალები სწორედ მსხვერპლშეწირვით აპირებდნენ მოსახლეობის აღშფოთების გამოწვევას და აზვირთებული მასების ქუჩაში გამოყვანას.

არავინ იცის, მართლა არსებობდა თუ არა ასეთი გეგმები, თუ ეს ყველაფერი „ნაცმოძრაობის“ ოპონენტების მიერ გამოგონილი ვერსიებია, თუმცა, „ნაცმოძრაობის“ ბუნებიდან გამომდინარე, არც ისაა გამორიცხული, ვიღაც-ვიღაცების ტვინში მართლა მოხარშულიყო ასეთი სატანური სიუჟეტები.

ზემოთჩამოთვლილ ვერსიებთან შედარებით, ის, რაც გიგილოს წამოსცდა, ყველაზე ეფექტურია.

მართლაცდა, სად გვარამია, სად გაბუნია და სად სააკაშვილი — სულ სხვადასხვა მასშტაბებია, დიამეტრულად განსხვავებული მნიშვნელობის ფიგურებია.

ღმერთმა ნუ ქნას და, სააკაშვილს რაიმე რომ დაემართოს, ეს შეიძლება მართლაც გახდეს დიდი არეულობის და დიდი სკანდალის მიზეზი, რაც შესანიშნავად იცის „ქართულმა ოცნებამ“ და, გამომდინარე აქედან, ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სააკაშვილს ჯანმრთელობა შეუნარჩუნდეს, თუმცა სააკაშვილი პირიქით იქცევა და ასევე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყეს — არ იღებს ექიმების მიერ დანიშნული მედიკამენტების ნაწილს, არ იკვებება ექიმების მიერ რეკომენდებული რაციონით, მიმართავს სიმულაციებს, რითაც, ფაქტობრივად, ასრულებს იმ დაკვეთას, რასაც მისი მხარდამჭერები გარედან კარნახობენ — ცდილობს, დაარწმუნოს ყველა, რომ მართლაც კვდება და საზღვარგარეთ სამკურნალოდ თუ არ წაიყვანენ სასწრაფოდ, შეიძლება ყველაფერი ფატალურად დამთავრდეს.

ცხადია, ეს ურთიერთშეთანხმებული თამაშია, თუმცა სააკაშვილი ვერ ხვდება, რომ მის გადასარჩენად წამოწყებულ ამ თამაშში ყველაზე მეტად თვითონ ზარალდება.

ამ თამაშ-თამაშში სააკაშვილმა და მისმა კეთილისმყოფელებმა იმდენი ქნეს, რომ საზოგადოება დაარწმუნეს: სააკაშვილს სერიოზული ფსიქიკური პრობლემები აქვს, ეს ამბავი კი მომავალში მძიმე დარტყმას მიაყენებს სააკაშვილის, როგორც პოლიტიკოსის, კარიერას.

საქმე საქმეზე რომ მიდგეს, აუცილებლად დაისმება კითხვა: რა უნდა ფსიქიკურად ავადმყოფ ადამიანს პოლიტიკაში? როგორ შეიძლება ასეთ პიროვნებას ხალხის და ქვეყნის ბედი ვანდოთ?

ასე რომ, მიშას ფანები, სინამდვილეში, ცუდ საქმეს უკეთებენ თავიანთ ბელადს, რომელიც არც თავად აკლებს ხელს, რომ, რაც შეიძლება მეტად „გაიბანძოს“ თავი.

დიდი ალბათობით, მიშას მძიმე ავადმყოფობის ამბავი იმისთვის არის შეთხზული, რომ სააკაშვილი როგორმე ციხიდან გაათავისუფლონ და რომელიმე უცხო ქვეყანაში გადაიყვანონ. თუ ეს მოხდა, ვერავინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ეს „მომაკვდავი“ კაცი უცებ არ გამოჯანმრთელდება და რომელიმე ტრაილერით კვლავ არ შემოიპარება საქართველოში რევოლუციის მოსაწყობად ან სულაც მეორე ფრონტის გასახსნელად.

რაც შეეხება გიგილოს, ყურადღებით უსმინეთ ამ კაცს. დარწმუნებული ვარ, ის მომავალშიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ბევრ საინტერესო და საიდუმლო ამბავს გააჟღერებს.




**დავით ქავთარია**

# რეკომენდაციები დამწყებთათვის: როგორ გავაკეთოთ „კარგი“ ტელევიზია?

## რაც დავთესეთ, იმას ვიმკით!





ერთხელ საქართველოში დადგა დრო, როცა ყველა ორღობეში უნივერსიტეტი გაგვიხსნეს. პრიორიტეტი სოფლის მეურნეობა არ ყოფილა, გოგო-ბიჭებმა იურისტობა, ექიმობა და ჟურნალისტობა „ისწავლეს“, მიწათმოქმედობა, მესაქონლეობა თუ მემცენარეობა არავის უნდოდა, თოხს, ბარსა და მექანიზაციას ხელი არავინ მოჰკიდა.

გავიდა 25 თუ 30 წელიწადი.

რაც დავთესეთ, ახლა უნდა მოვიმკათ.

ვიმკით კიდევაც!

მე არ ვიცი, რა ხდება იურისპრუდენციაში... უფრო სწორად, ვიცი, მაგრამ არ ვლაპარაკობ, სჯობს, იურისტებმა ილაპარაკონ.

არც ის ვიცი, რა ხდება მედიცინაში... უფრო სწორად, ვიცი, მაგრამ არაფერს ვამბობ, სჯობს, მედიკოსებმა გვიამბონ.

მე ვიცი, რა ხდება ჟურნალისტიკაში!

საქართველოში დადგა დრო, ყველა ორღობეში ტელევიზიას





რომ ხსნიან.

ადრე ეს საქმე უფრო რთული იყო, ციფრული ტექნოლოგიის დანერგვამ ძალზედ გააიოლა. მაინც რა არის საჭირო, რომელიმე ორღობეში „ტელევიზია“ რომ აამუშაოვო? ბევრი არაფერი: 1 მოგრძო მაგიდა, რამდენიმე „ტაბურეტკა“, 3 ცალი ერთჯერადი ჭიქა, 2 ცალი კამერა (აქედან ერთი „ზაპასად“) და კედელზე ხელით „წარწერილი“ ლოგო. თუ ლოგო საერთოდ არ გექნება, არც ეგ არი პრობლემა.

განათლება? გამოცდილება? ნიჭი? ეგეთი რაღაცები საჭირო არ არის, პირიქით, რამდენი უცნაურ რამეებს ჰკითხავთ ე.წ. სტუდიაში მიყვანილ ე.წ. რესპონდენტს, მით მეტი იქნება თქვენი „ტელევიზიის“ ე.წ. რეიტინგი.

ვინ უნდა იყოს ხშირი სტუმარი, ანუ რესპონდენტი? ვინ და... ვისაც კარგად გამოსდის კბენა, ღრენა, ჩქმეტა, ჭიქის სროლა, „ტაბურეტკის“ მოქნევა, დედის გინება, კეთილების ხსენება. მაგალითად, „სტოლზე“ ავარდნა, კისერზე შემოხტომა და სახეში შემოლაწუნება ყველაზე კარგად გამოსდის „ნაციონალ“ დეპუტატ ნონა მამულაშვილს. ამას წინებზე „ქართული ოცნების“ მომხრე დავით ლორიას ისე შეაფრინდა, ლამის გულისპირზე ბალანი აახია. დაიჭირეს, შუაში ჩაუდგნენ, თორემ აახევდა კი არა, ცოტა მეტსაც უზამდა. ვისაც მიშა არ უყვარს, ვინც მიშას აკრიტიკებს, ამ ქალის აზრით, ყველა მოღალატეა, თანაც სამშობლოსი. როგორ შეიძლება, ასეთი ჭკვიანი, განათლებული, მსოფლიო დონის პოლიტიკოსი და უდიდესი მხედართმთავარი ციხეში იჯდეს და ბუზებს ითვლიდეს? როგორ გეკადრებათ!

თუ გინდათ, გადაცემა სენტიმენტალური შინაარსისა გამოგივიდეთ, ბადრი შუბლაძეს დაუძახეთ და ის ამბავი მოაყოლინეთ, ბალღობისას ოჯახში 5 მანეთის მოპარვა რომ დააბრალეს. ამის გამო მშობლებზე დღესაც ნაწყენია, გარდაცვლილებისთვის დღემდე არ უპატიებია. ამას წინებზე იძახდა, მთელი ცხოვრება „გაზპრომში“ ვმუშაობდიო, რუსულ კომპანიაშიო... და იცით, რას გეტყვით, თქვე რუსეთუმეებოვო? მიშა უნდა იყოს გარეთ, მისი დატუსაღება რანაირად გაბედეთო?

ეგრეა, თუ გინდათ, მაღალრეიტინგული გადაცემა გქონდეთ, „ფეისბუკში“ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ნახოს, ე.წ. სტუდია ისეთებით უნდა გადატენოთ, ერთმანეთს ყველაფერს რომ ჰკადრებენ. თუ საჭირო იქნება, მხოლოდ ჭიქები კი არ უნდა დააფშვნან ერთმანეთს თავებზე, შეიძლება დაადფსან კიდევაც... ამ თვალსაზრისით მეგი გოცირიძე ამოარჩიეთ. ოღონდ ამ მეგის წინ უნდა დაუსვათ ისეთი „წითელი ნაჭერი“, უმალვე რომ გამოიყვანს მწყობრიდან. არა, ეგ ქალი მწყობრში არასოდეს არ არის, მაგრამ მაინც.

სხვათა შორის, „ნაცმოძრაობას“ ჰყავს ერთი უცნაური რესპონდენტი, რომელსაც ჭკუა არ აქვს, მაგრამ ჭკუას მაინც ეკითხებიან; სულ დუპლეტურ რაღაცებს ლა-



პარაკობს, მაგრამ მაინც თავებს უქნევენ. თუ ვინმე შეეწინააღმდეგება, ეგრევე მიახლის ხოლმე, რომ ის სულელია. ეს გახლავთ „ექსპერტი“ დავით ნებიერიძე (ამის ექსპერტობა არ გაიშვა ჩუმლაყის გადასახვევამდე). ხომ გეუბნებით, მიიყვანენ ხოლმე ე.წ. სტუდიაში ამ „კარტოჟნიკსა“ და ალაპარაკებენ პოლიტიკაზე. ალაპარაკებენ რა, თავისებურად ღნავის. ადრე, „შავბნელი“ კომუნისტების მმართველობის პერიოდში ეგეთ დუპლეტს ტელევიზორში ვინ გამოაჩენდა?

მეგობრებო, საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს... შეიძლება ზოგმა იფიქროს, მერე რა მოხდა, გაუნათლებლობა, უწიგნურობა და ჭკუასუსტობა ყველგანაა, გაივლის დრო და სიტუაცია ამ მხრივაც გამოსწორდებაო. არა, მთლად ასეც არ გახლავთ, დრო არ არის ყველაფრის მკურნალი, ტელევიზია და პრესა საზოგადოების აზროვნების ფორმირებას ხელს უწყობს ან ავად, ან კარგად. ამ შემთხვევაში აშკარად ჩანს, რომ მომრავლებულმა სატელევიზიო არხებმა ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გაადუპლეტა. „მხატვარ“ მაია ორჯონიკიძეს რომ დასვამ და თავისი როხროხა ხმით პატრიოტიზმსა და სხვათა მოღალატეობრივ საქმიანობაზე ალაპარაკებ, საზოგადოება გადუპლეტდება, აბა, რა იქნება? ეს ის „მხატვარია“, დედა (იზა ორჯონიკიძე) პოეტი რომ ჰყავდა და თვითონ კიდევ ჯერაც არაფერი დაუხატავს. ისე გამომიცხადებენ ხოლმე, მხატვარი მაია ორჯონიკიძეო, გეგონება ელენე ახვლედიანის კონკურენტი მყავდეს. თან ძალიან პრეტენზიული ტონი აქვს, ვისაც მიშა არ უყვარს, ის იდიოტია!

ე.წ. სტუდიაში საჭიროა ჭინთვის რამდენიმე სპეციალისტიც... შეკითხვას დაუსვამ და მათ ეგრევე სამ თითზე ეხსნებათ ხვრელები. აი, მაგალითად, ბოლო დროს ყველაზე პროფესიონალურად გიგი უგულავა იჭინთება, მით უფრო, თუ მეორე მჭინთავ ინგა გრიგოლიასთან იმყოფება ე.წ. სტუდიაში.

ეს „ცხოველების ფერმის“ პერსონაჟი ბლაყვი არსება იმუქრება,

მიხა სააკაშვილს რამე რომ მოუვიდეს, სიკვდილის ცელი თქვენი



სახლების ზღურბლთანაც მოვაო. იმასთანაც მივა, აბასთუმნის ტყეში რო იმალებაო. გაიგონეთ? თურმე ბიძინა ივანიშვილს ამ უტრაკო ყარაჩოხლისა ეშინია და აბასთუმნის ტყეებში იმალება.

სიკვდილის ცელიო... თქვენი სახლების ზღურბლებთან მოვაო, ფაქტობრივად მიხეილ-გაბრიელი გახლავართო.

გეგონება, მიხეილ-გაბრიელები არ იყვნენ და ცელებით არ დათარეშობდნენ. გეგონება, ასეულობით უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი არ არის ამათ სისხლიან კისრებზე!

თუ გინდათ, რომ ყველაზე „მაგარი“ და „რეიტინგული“ გადაცემა გქონდეთ, ე.წ. სტუდიიდან ნიაღვარივით უნდა მოდიოდეს ზიზღი, მრისხანება და სიძულვილი... აი, ინგა გრიგოლიას „რეაქციიდან“ რომ მოდის ხოლმე. შეიძლება ქვეყანაში კარგი რაღაცები ხდებოდეს, შეიძლება ბევრი რამე უნდა გიხაროდეს, მაგრამ ამას ეკრანზე ვერ შეამჩნევ, აქ უკვე განგაშის ზარების დარისხებაა საჭირო - ძონძის, ჭუჭყის, ტალახისა და წუმწუმას გამოტანაა საჭირო, რათა დამფინანსებლები (ჭუტა და ხაზარა) კმაყოფილნი დაგირჩნენ. დიახ, უნდა გეზიზღებოდეს ყველა და ყველაფერი, მაგრამ ამავე დროს ვალდებულება გაქვს, დაამტკიცო, რომ შენ ხარ ყველაზე მოსიყვარულე, პატრიოტი, კეთილშობილი, მზრუნველი და სამართლიანობისთვის მებრძოლი. უყურებთ, როგორ იქცევა ნოდარ მელაძე? მას უნდა მიბაძოთ, უწოდეთ მოღალა-



ტეს გმირი, გმირს - მოღალატე, დააბრალეთ ქველმოქმედს სიძუნწე და მტერთან თანამშრომლობა, რუსეთის მოქალაქე კობა ნაყოფიას გადაუხადეთ მადლობა უანგარო დამსახურებებისთვის. წარმოგიდგენიათ? რეალობა უნდა შეატრიალოთ, რაც კარგია, ის არის ცუდი, რაც ცუდია, ის არის კარგი... თეთრი შავია, შავი - თეთრი, მაწონი ყავისფერია, „ფეჩი“ პიანინოა.

რაც მთავარია, ხშირად უნდა ამტკიცოთ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ძალიან ცუდი, ხოლო ჭიჭე ვაშაძე არის ძალიან კარგი. იცით, ვინ არის ჭიჭე? მას ჯუნიორსაც ეძახიან, მაგრამ პასპორტში გიორგი უწერია და ბოლო რამდენიმე წელიწადია, პრემიერ-მინისტრობაზე ოცნებობს. თაკო ჩარკვიანმა უთხრა, ღირსი ხარ პრემიერობისაო. ჩვენ კი ვიცინეთ მის სარეკლამო კლიპებზე, ლამის თავისი პირველკაცობა რომ დაიჯერა, მაგრამ თან ეს ქვეყანა გვეცოდებოდა, ამდენი ფსიქიურად დაავადებული რომ ჰყავს.

ამას წინებზე სოციალურ ქსელში რაღაცნაირი ტელევიზია „ამომიგდო“, არც რა ეწერა, არც რა გამოუცხადებიათ, ლოგოზე ლაპარაკი ზედმეტია. ორი კაცი იჯდა და ემოციურად მუსაიფობდა. მოგვიანებით მივხვდი, ერთი ჟურნალისტი იყო, მეორე - რესპონდენტი. ამას, ამ რესპონდენტს სოხუმის უნივერსიტეტში უმუშავია პროფესორად, ზურაბი ყოფილა სახელად და პაპასქირი - გვარად. ატყდა ბატონი პროფესორი, კახა კალაძე რატომ არ მიდის უკრაინაშიო? ვინ ხარ, გინდა პროფესორი იყავი, გინდა - რეჟისორი, შენ ვინ გეკითხება, კახა კალაძე სად წავა და საით გადაუხვევს, რას ავალდებულებ, ომში წადიო? ჟურნალისტი, რომელიც ამ პროფესორს ყბადაღებული შეჰყურებდა, პროფესიონალი რომ იყოს, აუცილებლად იკითხავდა, ბატონო იმანო, თქვენი შვილები და შვილიშვილები ხომ არ გაგიგზავნიათ უკრაინაშიო? ეს ეტყოდა, არაო. ის ეტყოდა, რატომო? ის ეტყოდა, იმიტომო და... საუბარი უფრო საინტერესო გამოვიდოდა.

მეგობრებო, თუ რა ხდება კიდევ ქართულ ე.წ. დამოუკიდებელ ტელე-მედიაში, შემდგომშიც მოგახსენებთ, ეს დიდი, თითქმის უსასრულო თემაა. ბოლოს ერთს გირჩევთ, რასაც ეგეთი უბადრუკი ტელევიზიებიდან ლაპარაკობენ, არ დაიჯეროთ, სხვაგან გადართეთ, ერთი-ორი ისეთიც არსებობს, სადაც სიმართლეს ამბობენ.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# რას გვერჩის კელი დეგნანი და რატომ ენდობა ნინო ლომჯარიას, რომელმაც დიდი ხანია ქართველი ხალხის ნდობა დაკარგა?!

## „მინდა შეკითხვა დავუსვა ქალბატონ კელი დეგნანს. მართლა მაინტერესებს, ვფიცავ ყველაფერს – მომხრეა თუ არა ის საქართველოში მეორე ფრონტის, მომხრეა თუ არა სააკაშვილის გამოშვების და მომხრეა თუ არა რიგგარეშე არჩევნების?



მწარედ ახსოვს მაისის თვე საქართველოს.

2009 წლის 6 მაისს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მაშინდელმა ხელისუფლებამ მშვიდობიანი აქცია დაარბია. აქციის მონაწილე პოლიტიკოსი პახა პუკავა იხსენებს:

**„6 მაისს დააპატიმრეს აქციის აქტივისტები, არასრულწლოვნები. მოვთხოვეთ ხელისუფლებას მათი გათავისუფლება, თუმცა უარი მივიღეთ და გადავწყვიტეთ აქციის მოწყობა. იქ მობილიზებული იყო სპეცდანიშნულების მთელი ჯგუფები. მშვიდობიანი აქცია გვქონდა გადაწყვეტილი. არავინ**



**არ გვისმენდა, ამიტომ გადაწყვიტა და ღობეზე გადავიდა გიორგი გაჩეჩილაძე, წერილის შესატანად. გია დააპატიმრეს და სასტიკად სცემეს. ამის შემდეგ დაიწყეს რეზინის ტყვიების სროლა, პირდაპირი დამიზნებით. ათეულობით ადამიანი იქნა დაშავებული. შუბლში ახვედრებდნენ ხალხს. ორმა ადამიანმა თვალი დაკარგა. ამ ფაქტზე არ მომხდარა გამოძიება. რეზინის ტყვიების გამოყენება საერთოდ აკრძალული იყო. რაც ნებადართულია, ის იარაღიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც მომიტინგეები კანონს არღვევენ. კადრები გახსოვთ, იქ არანაირი ძალადობა არ ყოფილა ჩვენი მხრიდან."**

2011 წელს კვლავ შეიკრიბა აქცია მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. იმდროინდელი მედიასაშუალებები იუწყებოდნენ:

**„26 მაისი. სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით შემდგარი მიტინგი ღამით პოლიციამ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით დაარბია. შედეგი: ასობით დაშავებული და რამდენიმე დაღუპული მოქალაქე. 26 მაისს დღისით გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი. საპროტესტო გამოსვლები საქართველოში, 2011 წლის მაისში – საქართველოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ერთი ნაწილის, კერძოდ, სახალხო კრების მიერ ორგანიზებული, სანქცირებული საპროტესტო გამოსვლები თბილისსა და ბათუმში, საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით“.**

აქციებს მიტინგის სახე ჰქონდა და მიმდინარეობდა 21 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით, თბილისში, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მის დარბევამდე. სააკაშვილმა განაცხადა, რომ 26 მაისის ოპერაციას ამერიკელები აკვირდებოდნენ. მისივე განმარტებით, ეს FBI იყო, თუმცა, მოგვიანებით, უკვე ვანო მერაბიშვილმა დააზუსტა, რომ საუბარი კერძო ამერიკულ კომპანიაზე იყო.

**„ღამე დაკითხვა, ღამე გასამართლება ჩვეულებრივი მოვლენა იყო მათ დროს. ადამიანები, ჩემი ჩათვლით, სიკვდილამდე მიჰყავდათ. საკაცით მიმიტანეს და დეკემბრის თვეში სამი საათი ასფალტზე ვიყავი დაგდებული. ეს კიდევ რა იყო? ღამის 2 საათზე შემოდიოდა სპეცრაზმი, არ ერიდებოდნენ ასაკს, ჯანმრთელობას და ხელკეტებით კლავდნენ ხალხს ცემაში“,** – აღნიშნავდა მაშინ ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა მედიისთვის მიცემულ ერთ ინტერვიუში.

საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ: „პატიმარი პახა ბარათაშვილი მორგში ჩაიყვანეს და აწამეს მხოლოდ იმიტომ, რომ თირკმლის შეტევის გამო ექიმის დახმარება მოითხოვა. მთელი ღამე გაკოჭილი ჰყავდათ. სცემდნენ, თან ვედროებით წყალს ასხამდნენ, გაუპატიურებით ემუქრებოდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. წამებაში მონაწილე თანამშრომელთა შორის განსაკუთრებით უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი გიორგი ავსაჯანიშვილი გამოირჩეოდა.“

ეს არის, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთიც კი არა, იმ უსამართლობებთან დაკავშირებით, რაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის წლებში ხდებოდა. არსებობს კიდევ უამრავი, მათ შორის, პატიმრების გაუპატიურების საქმეები, რომლებიც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშსა და ჟურნალისტურ გამოძიებებში ხვდებოდა.

დღეს იმ საშინელი კოშმარული მმართველობის შემქმნელი და სულის ჩამდგმელი ყოფილი პრეზიდენტი, აწ უკვე უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი გახლავთ პატიმარი და აცხადებს, რომ მის მიმართ საპატიმროში ძალადობა მიმდინარეობს. იმ წლების პატიმრების მიერ გავლილი წამება სააკაშვილის ციხის ცხოვრებასთან შედარებით სამოთხე რომ არის, ისედაც ცხადია, მაგრამ ბატონი მიშა მაინც უკმაყოფილოა და მისი უფლებების დაცვაში ადვოკატები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხოო დამცველი, უცხოელი პოლიტიკოსები და თვით ამერიკის ელჩი ქალბატონი კელი დეგნანიც არის ჩართული.

გიგი უგულავა კი ძარღვების დასკდომამდე ბღავის მიშას აწამებენო და ნაციონალებიც უსინდისოდ ვაჭრობენ ყალთაბანდი პატიმარ სააკაშვილის ვითომ უსამართლო ყოფით და საერთაშორისო ორგანიზაციებს თვალებს უხვევენ.

სინამდვილეში, ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცის, მაგრამ საინტერესოა, რატომ და რად უღირთ, თუ მართლა რამედ უღირთ სააკაშვილი, მთელი ქვეყნის ინტერესებს რომ არაფრად აგდებენ და იმ წამებით მოკლული პატიმრების ბედით რომ არავინ დაინტერსებულა თავის დროზე, მათ შორის არც მაშინდელი სახალხო დამცველი, ახლა რატომ არიან ასე აღშფოთებული და შეშფოთებული?!

მაშინდელი აქციების მონაწილეები, ნაწამები პატიმრები იმ ადამიანების სახელებს და გვარებს ასახელებდნენ კონკრეტულად, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დანაშაულებრივ ქმედებებში ქვეყნის პატიმარ მოქალაქეთა მიმართ. მაგრამ თურმე მიშა ყველა ადამიანზე მაღლა მდგარა იმიტომ, რომ პრეზიდენტყოფილია...

სახალხო დამცველის მიერ შექმნილი ექიმთა კონსილიუმის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა "მნიშვნელოვნად გაუარესებულია".

**"ჩვენ ყველანი ძალიან ყურადღებით ვაკვირდებით ბატონი სააკაშვილის მდგომარეობას. მოვუწოდებთ, რომ ის ნახოს კვალიფიციურმა სამედიცინო პერსონალმა. ჩვენ სახალხო დამცველის ოფისისადმი სრული ნდობა გვაქვს, რომელიც ბატონი სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს ახორციელებს. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, სერიოზულად მოეკიდოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს, ეს არის ადამიანი, რომელსაც კონსტიტუციით აქვს მინიჭებული საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლების დაცვის მანდატი. სახალხო დამცველი ძალიან კარგ და საპასუხისმგებლო საქმიანობას ეწევა და გვაქვს სრული ნდობა მისი რეკომენდაციების მიმართ, როგორც ბატონ სააკაშვილთან დაკავშირებული მოქმედების საუკეთესო კურსის მიმართ"**, - აცხადებს კელი დეგნანი.

დააკვირდით, ქალბატონი ელჩი ბრძანებს: სახალხო დამცველი არის ადამიანი, **რომელსაც კონსტიტუციით აქვს მინიჭებული საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლების დაცვის მანდატიო. მაგრამ სააკაშვილი რომ საქართველოს მოქალაქე არაა, ამაზე არ ამახვილებს ყურადღებას.**

ქალბატონი დეგნანის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნა საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებაა. ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა საკანონმდებლო ორგანოში პარლამენტის თავმჯდომარესთან შალვა პაპუაშვილთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნა.

მას მერე, რაც ხელისუფლება შეიცვალა და ხელისუფლების სადავეები „ქართულმა ოცნებამ“ ჩაიბარა, არც ციხეებში და არც ციხის გარეთ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის არც ერთი ფაქ-



ტი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით ე.წ. ოპოზიციის გაზვიადებულ ინფორმაციებს „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერ მოქალაქეთა უფლებების დარღვევების შესახებ.

**„ამხელა ქვეყნის ელჩი ასე არ უნდა იქცეოდეს და თუ რამე უნდა, პირდაპირ უნდა საუბრობდეს ქართულ საზოგადოებასთან. მან საზოგადოებას თავისი მიზნები უნდა გაუმჟღავნოს თავისი პირით და არა ნინო ლომჯარიას, გიორგი ვაშაძის და სხვების მეშვეობით“,** – წერს სოციალურ ქსელში ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე.

**„დარწმუნებული ვარ, საზოგადოების დიდი ნაწილი ამ თამაშს ძალიან კარგად ხვდება. ძალიან ცუდია, როდესაც ამერიკის ელჩი სააკაშვილის განთავისუფლების სურვილის გამჟღავნებას ვერ ბედავს და ლომჯარიას პირით არჩევს ლაპარაკს.**

**ყველამ ძალიან კარგად ვიცით, ვინ არის ნინო ლომჯარია – დისკრედიტებული ადამიანი, რომლის არც ერთ სიტყვას საზოგადოებაში ნდობა არა აქვს. ეს ძალიან კარგად იცის კელი დეგნანმაც. ლომჯარიას აქვს დავალება, ცრუ ინფორმაციის გავრცელებით ხელი შეუწყოს მიხეილ სააკაშვილის განთავისუფლებას, რისი საბოლოო მიზანიც საქართველოში სიტუაციის არევა და უკრაინაში დაწყებულ ომში საქართველოს ჩათრევაა. სწორედ ამიტომაა, რომ ლომჯარია დღემდე არც ერთი პატიმრის ბედით წესიერად არ დაინტერესებულა, სააკაშვილზე ზრუნვა კი ლამის თავის ერთადერთ საქმედ აქცია.**

**ლომჯარიას პირით ლაპარაკის ნაცვლად, კელი დეგნანმა უნდა განმარტოს, რაში სჭირდება, შეგნებული თვითდაზიანების თუ სიმულირებული ავადმყოფობის საბაბით, სააკაშვილის განთავისუფლება, შესაბამისად, რაში სჭირდება საქართველოში სიტუაციის არევა და რაში სჭირდება ომი ჩვენს ქვეყანაში. ამერიკის ელჩი ანგარიშვალდებულია ქართველი ხალხის წინაშე, რომელიც მის სახელმწიფოს ჯერ კიდევ საქართველოს მეგობრად მიიჩნევს“,** – ამბობს ნანა კაკაბაძე.

11 გვ. →

# საყოველთაო სავალდებულო განათლებიდან საყოველთაო სავალდებულო გამოთაყვანებამდე



**ზურაბ ცუცქირიძე,**
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პედაგოგიკის დოქტორი.

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონი ყველაზე ადრე სკანდინავიის ქვეყნებში, კერძოდ, შვედეთსა და დანიაში მიიღეს. ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ახლო პერიოდში, 50-იან წლებში. ამ კანონის რეალიზაციამ მალე გამოიღო დადებითი შედეგები: ამ ქვეყნებმა სწრაფად მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის განვითარებაში. არნახულად სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობისა და სოციალური მომსახურების ყველა დარგი. მოსახლეობის ცხოვრების დონე სანიმუშო გახდა მსოფლიოსათვის. კაპიტალიზმსათვის დამახასიათებელი სიმდიდრის განაწილების პოლარიზაცია სადღაც გაქრა ისე, რომ ერთი შეხედვით, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის კლასობრივი დიფერენციაცია თითქმის შეუმჩნეველი გახდა. სოციოლოგებმა ეს მიღწევები საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების პირდაპირ შედეგად მიიჩნიეს. საბჭოთა კავშირში ოფიციალურმა ხელისუფლებამ არა, მაგრამ სოციოლოგებმა და პოლიტიკოსებმა შვედეთი ახალი ტიპის სოციალიზმის მოდელად მიიჩნიეს.

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის შემოღება სხვა ქვეყნებმაც სცადეს, თუმცა უშედეგოდ: ზოგს საკუთარმა კოლონიალურმა პოლიტიკამ შეუშალა ხელი, ზოგს მრავალეთნიკურმა შემადგენლობამ, ზოგს — მათი ქვეყნების ცალკეული რეგიონების კულტურული განვითარების შინაარსისა და რელიგიური მრწამსის რადიკალურმა განსხვავებამ და ა.შ. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მის საგანმანათლებლო სისტემას ტრადიციულად საფუძვლად უდევს „სიბრიყვის თავისუფლების" იდეა, რომელიც ამერიკელებს „დემოკრატიის" ურყევ პრინციპად მიაჩნიათ დღესაც. ამიტომ არის, რომ ამ ქვეყანაში 15 წლამდე მოზარდთა შორის ათი მილიონი წერა-კითხვის უცოდინარია.

მხოლოდ საბჭოთა კავშირმა დაიწყო საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელება გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში (საყოველთაო განათლების კანონი 30-იანი წლებიდან ხორციელდებოდა!)

საყოველთაო სავალდებულო განათლების პრინციპის განხორციელებამ უზარმაზარი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი ძალიან მოკლე ხანში ყველაზე განათლებულ და კულტურულ სახელმწიფოდ აქცია მსოფლიოში. უმაგალითო წინსვლა განათლებისა და კულტურის სფეროში აუცილებლად აისახებოდა ეკონომიკაზე, საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში ბრიყვები და მოღალატეები რომ არ მოსულიყვნენ, რაც პოლიტიკური მართვის სისტემის არსებითი და საბედისწერო ნაკლით იყო განპირობებული. ამ ნაკლზე საუბარი და მსჯელობა პოლიტოლოგებისა და სოციოლოგების საქმეა და, ბუნებრივია, მე ამის თაობაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ (თუ ამის აუცილებლობის წინაშე არ დავდექი, რა თქმა უნდა!)

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელება მარტივი არ იყო არც ჩვენთვის და არც სკანდინავიის ქვეყნებისათვის. შვედეთში, მაგალითად, 50-იან წლებში ბევრმა მიგრანტმა მოიყარა თავი. ზოგადად ევროპის ქვეყნებში მიგრანტების მოძალება 50-იან წლებში კოლონიური სისტემის დემონტაჟისა და ტრანსფორმაციის პროცესებს უკავშირდებოდა. სწორედ მიგრანტების მასობრივმა შემოდინებამ შეუქმნა შვედეთსა და სკანდინავიის სხვა ქვეყნებს სიძნელეები საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებაში. საქმე ის იყო, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან შემოსული მიგრანტები მყისიერად ვერ გახდებოდნენ ევროპელები და ვერ მოახერხებდნენ შვედურ საზოგადოებასთან ინტეგრაციას. ბევრ სხვა მიზეზთან ერთად, ბუნებრივია, არც კანონთან დამოკიდებულება შეიცვლებოდა მათ ცნობიერებაში. ამიტომ შვედეთის ხელისუფლება იძულებული იყო მობილური სკოლები გაეხსნა იმ ადგილებში, სადაც მიგრანტები კომპაქტურად სახლდებოდნენ და არც ისე იშვიათად იცვლიდნენ საცხოვრებელ ტერიტორიებს. ამის მიუხედავად სკანდინავიის ქვეყნებში ამ მხრივ მიღწეული წარმატებები ერთობ თვალსაჩინო იყო.

მსგავსი პრობლემები არც საბჭოთა კავშირს აკლდა, მაგრამ მათი ორგანიზებული გადაწყვეტა ბევრად იოლი იყო უნიტარული სახელმწიფო წყობილებისა და ტოტალური საგანმანათლებლო-კულტურული პოლიტიკის პირობებში.

ახლა ბევრს ზღაპარი ჰგონია, როგორც უცხოეთში, ისე აქ, ჩვენშიც, ის ფაქტი, რომ დასავლეთის ქვეყნებში განათლების სპეციალისტებსაც და სახელმწიფოს მმართველ პოლიტიკოსებსაც საბჭოთა სკოლა (მთელი საგანმანათლებლო სისტემა!) სანიმუშოდ მიაჩნდათ და მისი ცალკეული ელემენტის თავიანთ ქვეყნებში გადანერგვას ცდილობდნენ.

70-იანი წლებიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა დასავლეთის ქვეყნებში. ჰელსინკის ცნობილმა დეკლარაციამ, რომელიც 1975 წელს იქნა მიღებული და რასაც საბჭოთა კავშირმაც მოაწერა ხელი (თუმცა ფორმალურად!), სათავე დაუდო ნეოლიბერალობის ანტისახელმწიფოებრივ და ანტიეროვნულ იდეოლოგიას. პიროვნების უფლების უმაღლეს ღირებულებად გამოცხადება სატანისტური სატყუარა იყო, რასაც ხალხის მასები ვერ გააცნობიერებდნენ და, ცხადია, ვერც გააცნობიერეს. ჩვეულებრივი ობივატელისათვის „პიროვნების უფლება" „ადამიანის უფლების" სინონიმად იქნა მიჩნეული და, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლება, მართლაც, არის უმაღლესი ღირებულება. აქ ისეთივე საზოგადოებრივ-სოციალურ განწყობასთან გვაქვს საქმე, როგორც ჩვენში იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკურ ველზე გამოჩენისას. მაშინაც ხალხის მასამ „ნაციონალური მოძრაობა" „ეროვნულ მოძრაობას" გაუთანაბრა და აქტიურად დაუჭირა მხარი მას. არა და, ამ შემთხვევაში „ნაციონალურს" არანაირი კავშირი არ აქვს „ეროვნულთან".

ჰელსინკის დეკლარაციის მიხედვით, პიროვნების უფლება სახელმწიფოს უფლებაზე მაღლა დგას. ე. ი. სახელმწიფო ვერ დაავალდებულებს თავის მოქალაქეს იკისროს ისეთი საქმე, რაც კონკრეტულად ამ სახელმწიფოს ინტერესებში შედის და ამა თუ იმ პიროვნებას შეიძლება სულაც არ აინტერესებდეს. ამიტომ თქვა საჯაროდ ერთმა ლიბერასტმა „პოლიტიკოსმა", საქართველოს პარლამენტის აწ უკვე ყოფილმა თამჯდომარემ დავით უსუფაშვილმა: მე და ჩემი მეუღლე თინა იმას კი არ ჩავაგონებთ ჩვენს შვილებს, რომ, თუ საჭირო შეიქნა, სამშობლოს შესწირონ თავი, არამედ მათ თავისუფალ ადამიანებად ვზრდით და ისინი თვითონ გადაწყვეტენ ვის და რას შესწირონ თავიო (იმ დროს მისი მეუღლე თინა საქართველოს ე.წ. ამირსპასალარი იყო!). აი, ეს არის ნეოლიბერალების ლოგიკა; როგორც სამშობლოს დამცველებსა და ერთგულებს გაზრდიან ისინი, ამის გამოცნობას დიდი სიბრძნე არ სჭირდება.

იმ ლიბერასტ უსუფაშვილს დავიწყებული აქვს (ან იცოდა კი?), რომ სახელმწიფო ადამიანთა კოლექტიური შეთანხმების შედეგად წარმოშობილი ფენომენია, რომელიც ყველასი და თითოეული მისი წევრის უსაფრთხოებას (როგორც ფიზიკურ, ისე ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ.) უზრუნველყოფს. ამიტომ ჩვენი უფლებების გარკვეული ნაწილი დელეგირებული გვაქვს სახელმწიფოში და ამის შესაბამისად კონკრეტული მოვალეობებიც თითოეულ ჩვენგანს ეკისრება. ამის გაგება ძნელია განა?! ან იმის გაგებაა უსაშველოდ რთული, რომ ნეოლიბერალური იდეოლოგია სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არის მიმართული?

ლიბერასტულმა (ნეოლიბერასტულმა) იდეოლოგიამ და პრაქტიკამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა განათლების სისტემას, ანუ ქვეყნების მომავალს, რადგან სახელმწიფოს ხვალინდელი დღე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი თაობა იზრდება დღეს.

„ზიანი"-მეთქი რომ ვთქვი, ნამეტნავად ლიბერალური შეფასება გამომივიდა. ზიანი კი არა, სასიკვდილო დარტყმა მიაყენა სკოლას, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლოსაც და უმაღლესსაც! აღზრდა, როგორც პიროვნების სოციალური განვითარების პროცესი უარყო თავისი კანონებითა და კანონზომიერებებით, პრინციპებითა და მეთოდებით. იგი „ჩაანაცვლა" განვითარების ცნებით, რაც, მეცნიერული თვალსაზრისით, სრული იდიოტიზმია. განვითარება ყველა ცოცხალი არსებისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აღზრდას მხოლოდ ადამიანის ნაშიერი ღებულობს და სოციალურ არსებად იქცევა. ადამიანში „სოციალური" არის ის, რაც მას სოციალურ გარემოში აქვს ნასწავლი, აღზრდის საშუალებით, რა თქმა უნდა.

აღზრდის სისტემა რომ უარყვეს (და მოშალეს!) ფსევდოლიბერალური შეხედულებების დამკვიდრებას რაღა შეუშლიდა ხელს? არც არაფერი! ადამიანის ეგოცენტრისტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას რომელი მოზარდი შეეწინააღმდეგება, ნეტავი? ეს იმას ჰგავს, შევარდნაძის პარლამენტში კენჭისყრაზე რომ დააყენეს საკითხი: პარლამენტის წევრებს მოვუმატოთ თუ არა ხელფასებიო. ვინმე წინააღმდეგი იქნებოდა? არაფერი გეტკინოთ!

ეს ფსევდოლიბერალური შეხედულებები რომელია, განათლების სისტემაში რომ ამკვიდრებდნენ (და ამკვიდრებენ!) ჩვენში? ეს შეხედულებები დაკონკრეტებულია ბავშვთა უფლებების დეკლარაციაში და იმ სავალდებულო (!) რეკომენდაციებში, რასაც კონვეირული წესით „აცხობენ" ტარაკნებივით მომრავლებული მთავრობის უფლებებით აღჭურვილი არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს „რეკომენდაციები" მიმართულია სასწავლო პროცესის სისტემური ორგანიზაციის, სასწავლო დაწესებულებაში სავალდებულო წესრიგისა და დისციპლინის, პედაგოგებისა და მოსწავლეთა რეგლამენტირებული იერარქიული დამოკიდებულებისა და სხვა ტრადიციული საგანმანათლებლო უზრუნველყოფის ელემენტების წინააღმდეგ. ეს ყველაფერი თავს იყრის განათლების კანონში, სადაც მოსწავლის უფლებები ბევრჯერ აღემატება მის მოვალეობებს, ხოლო პედაგოგების მოვალეობები ასევე ბევრჯერ აღემატება მათ უფლებებს.

აი, ასეთია ლიბერასტული საგანმანათლებლო პოლიტიკისა და იდეოლოგიის ნამდვილი სახე.

რა გამოიწვია ნეოლიბერალურმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ჩვენშიც და სხვაგანაც, ამის დანახვა ძნელი არ არის.

ბავშვისა და მოზარდის იძულება, გააკეთოს მისივე სოციალური განვითარებისათვის აუცილებელი საქმე, როდესაც ძალადობად და სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, რა პირობებში უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანის ნებისყოფა? ნებისყოფა ხომ პიროვნების ძირითადი სოციალური ნიშანია და მის გარეშე ადამიანი გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ მიიღებს! ვის სჭირდება ასეთი უნებისყოფო ადამიანებისაგან შემდგარი „საზოგადოება"? არც ამის გამოცნობაა ძნელი!

ამგვარი დამოკიდებულების დამკვიდრებამ კატასტროფულად დასცა განათლების დონე ყველგან, სადაც ლიბერასტები გაბატონდნენ. განათლების სავალდებულობა წარსულს ჩაბარდა, „სიბრიყვის თავისუფლების" იდეა ტრიუმფით შემოვიდა ნეოლიბერალურ სივრცეში!

ერის დაცემა, გათახსირება და პირქვე დამხობა მაშინ იწყება, როდესაც ხალხი თავის ისტორიულ წარსულს ივიწყებსო, — საუკუნენახევრის წინ გვაფრთხილებდა დიდი ილია. სამწუხაროდ, ჩვენ გვარგუნა ბედისწერამ შევსწრებოდით ამ სამარცხვინო მდგომარეობას. სამი ათეული წლის წინ ყალბი ისტორიის სწავლება რომ დააწყებინეს ყმაწვილებს სკოლაში, დღეს ის ყმაწვილები შუახნის ხალხია, რომელთა ხელშია პოლიტიკა და კულტურა, მეცნიერება და ეკონიმიკა, კანონი და სამართალი. საკუთარი წარსული, თავისი ვინაობა და სადაურობა რომ არ ეცოდინება კაცს, განათლებული ეთქმის, ვითომ? ეს კიდევ რაა!



დღევანდელმა განათლების სისტემამ ისეთი თაობები გამოზარდა სკოლაში, რომლებსაც მიახლოებითი წარმოდგენებიც კი არ აქვთ ახლო, თუ ცოტა შორეული მეზობელი სახელმწიფოების ისტორიაზე. რა პოლიტიკური ორიენტაციები უნდა განახორციელოს ქვეყანამ, რომლის ჩინოვნიკების ისტორიული თვალსაწიერი რეალობასთან კავშირში კი არა, მხოლოდ აწინდელ პოლიტიკურ კონიუნქტურის საზღვრებსაც ვერ სცილდება.

მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ისტორიასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიის ცოდნას. გეოგრაფია იმიტომ ვახსენე, რომ ნებისმიერი სოციალური აქტივობა გეოგრაფიის ცოდნის გარეშე შეიძლება სრულ უაზრობად იქცეს, კატასტროფად თუ არა! პოლიტიკოსი ხარ, თუ ბიზნესმენი, ვაჭარი, თუ სამუშაოს მაძიებელი მუშა, შენთვის გეოგრაფიის ცოდნას



უპირველესი მნიშვნელობა აქვს. აბა, როგორი საქმე იქნება, ქართველმა ვაშლის ვაჭარმა ციმბირში წასაღები ხილი ირანში რომ ჩაიტანოს, სადაც თავიანთი ხილიც თავზე საყრელად აქვთ. გეოგრაფიის უცოდინარობის გამო, იქნებ, სულაც ისეთ ეკონომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდეს ვინმე მაღალჩინოსანი, როგორშიც აშშ-ს პრეზიდენტის წარმომადგენელი ვიქტორია ნულანდი აღმოჩნდა, როდესაც ლუკაშენკო გააფრთხილა: „ბელორუსი უკრაინაში მიმდინარე პროცესებში თუ ჩაერევა, ამერიკის მე-6 ფლოტი ბელორუსის საზღვრებს მიადგება“-ო (როგორც ჩანს, ნულანდი და მისი ფლოტი ახლაც ეძებენ სრუტეს, რათა ბელორუსის საზღვრებს მიადგნენ!). ამნაირი ნულანდებით უკვე სავსეა აშშ და კოლექტიური დასავლეთი, რადგან იქ ჩვენზე ბევრად უფრო ადრე გაბატონდა ნეოლიბერალიზმი განათლების სისტემაში, თუმცა ჩვენ სწრაფი ტემპით მივდივართ წინ გამამხნევებელი ლოზუნგით: „დავეწიოთ და გავასწროთ აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებს განათლების სისტემის ნეოლიბერალიზაციაში!“

რაღა დაწევა გვინდა, გავასწარით უკვე! მეც რაღა ნულანდის უვიცობა გავიხსენე, აგერ არ მყავდა ევროპულად განათლებული სალომე სამადაშვილი! მან ხომ ქუჩაში საჯაროდ განაცხადა: „დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეიჭრნენ პარლამენტში“-ო. როგორია, ჰა!

ამ დედაკაცსაც ნეოლიბერალური ქართული საგანმანათლებლო სისტემის სკოლა აქვს, ალბათ, დამთავრებული. არ ეტყობა, თუ?!

მარტო ისტორიასა და გეოგრაფიას არ შეხებია ნეოლიბერასტული რეფორმის საცეცები. ქართული ლიტერატურის სასწავლო შინაარსი ნახეთ, რამდენი კლასიკოსის ნაწარმოები გაქრა სასკოლო სახელმძღვანელოებიდან. რატომ? იმიტომ, რომ მათი შინაარსი მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას უწყობდა ხელს და, ამავე დროს, არ შეესაბამებოდა ნეოლიბერალურ (ლიბერასტულ!) იდეოლოგიას, ამ ღვთისპირიდან გადავარდნილთა „აზრით“ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ ჰომოფობიური ნაწარმოებია, ხოლო რომელიღაცა მინინგიტგადატანილი დეგენერატის ნაბოდვარი „დასავლურ ღირებულებებზეა“ დაფუძნებული.

ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის სწავლების მდგომარეობა სერიოზულ განსჯასაც აღარ ექვემდებარება... მოზარდი თაობის ინტელექტუალური გენოციდი ანუ, ხალხურად თუ ვიტყვით, გამოთაყვანება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ჩვენს „საგანმანათლებლო სტრატეგიას“ რომ ვაკვირდები, აშკარად ვხედავ, რომ საყოველთაო სავალდებულო განათლების პრინციპი საყოველთაო სავალდებულო გამოთაყვანების პრინციპით იცვლება. ამ პრინციპის განხორციელებისათვის შესაბამისი გარემო უკვე შექმნილია: აღზრდის სისტემა უარყოფილია, მოსწავლეთა იძულება მათზე ძალადობად ითვლება, მოსწავლის უფლებები ბევრჯერ აღემატება მის მოვალეობებს, პედაგოგის ავტორიტეტი მიწასთან არის გასწორებული, სასკოლო დისციპლინა „პაჭიკოს გარმონივით“ არის მოშლილი („სკოლა უდისციპლინოდ იგივეა, რაც წისქვილი უწყლოდ“ — ი. ა. კომენსკი).

ამრიგად, თაობების გამოთაყვანებისათვის ყველა პირობაა შექმნილი!

ვის სჭირდება გამოთაყვნებული ხალხი (გამოთაყვანებულები საზოგადოებას აღარ წარმოადგენენ!) და რა ბაბასილი უნდათ ამის მოწადინეთ?

რა უნდათ და ის, რომ საითაც სურთ იქით გარეკონ ნახირად ქცეული ხალხი, ის აბღავლონ, რასაც ჩასძახებენ, მტერიც და მოყვარეც თვითონ დაუნიშნონ, იქ აომონ და იმასთან, სადაც და ვისთანაც მის გამომთაყვანებლებს სურთ.

აი, ამისთვის ხორციელდება განათლების სისტემაში საყოველთაო სავალდებულო გამოთაყვანების პრინციპი.

განათლების სისტემაში მიმდინარე გამოთაყვანების პროცესი რაიმე ლოკალური მოვლენა არ არის. კაცობრიობამ დიდი ხანია აღიარა ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, როგორი თაობა იზრდება დღეს სკოლაში! ამ ჭეშმარიტების დავიწყება კატასტროფის გამომწვევია, ეროვნული თვითმკვლელობის ტოლფასია. ამის ნიშნები ხომ აშკარაა დღეს იმათთვის, ვინც თვალხილულია და ყურთასმენაც ჯერ არ დახშობია.

# რას გვერჩის კელი დეგნანი...

9 გვ.

გასულ კვირას მსახიობმა **გია გაჩეჩილაძემ** „იმედი LIVE“- ში განაცხადა: **„მინდა შეკითხვა დავუსვა ქალბატონ კელი დეგნანს. მართლა მაინტერესებს, ვფიცავ ყველაფერს — მომხრეა თუ არა ის საქართველოში მეორე ფრონტის, მომხრეა თუ არა სააკაშვილის გამოშვების და მომხრეა თუ არა რიგგარეშე არჩევნების.**

**არ ვიცი, სახალხო დამცველი გერქვას, მარტო სააკაშვილის ჯანმრთელობაზე ფიქრობდე, გული გისკდებოდეს და სხვა ადამიანები ვითომც არც ყოფილან პატიმრები და არც არასდროს არ იქნებიან, ისე იქცეოდე, ეს ხომ ადამიანმა, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობს, ყველამ ხომ ძალიან კარგად იცის, რომ ასეა. ეს ხომ საზოგადოებამ, ხალხმა ყველაზე კარგად იცის. და დღეს ეს ლაპარაკი, შიგნიდან ავრევთ, გარედან ავრევთ, ამას თუ ფიქრობენ, ვერ არევენ, იმიტომ, რომ გავლილი აქვს ხალხს 30 წლის განმავლობაში ეს ყველაფერი. იმ მდინარეში ისევ უკან არ დავბრუნდებით. გამორიცხულია ეს ამბავი. გამორიცხულია და არც ჩვენ ქვეყანას არ ჩავითრევთ არანაირ ომში, ეს ვისაც როგორ არ უნდა უნდოდეს“**, - თქვა გია გაჩეჩილაძემ.

ყველა კარგად ვხედავთ იმ ისტერიკებს, რასაც მართავს ე.წ. ოპოზიცია უკრაინასთან დაკავშირებით და მოუწოდებს ხელისუფლებას ჩავრთოთ საქართველოც რუსეთთან ომში, რუსეთს დავამარცხებთ და ტერიტორიებს დავიბრუნებთო.

ამაზე ლაპარაკი საერთოდ აბსურდია და არ შევჩერდები — შეურაცხყოფას არ მოგაყენებთ: რა ომი, რის ომი, ომის თავი აქვს ბოლო სამ ათწლეულში რამდენიმე ომგადატანილ და ახალახან საშინელ ვირუსს ძლივ-ძლიობით თავდაღწეულ ჩვენს ქვეყანას? ომის ძალა და რესურსი რომ არ გვაქვს, მშვენივრად იციან შინაურმა და გარეშე პროვოკატორებმაც, მაგრამ იმის თქმა: რუსეთის დამარცხებით ტერიტორიებს დავიბრუნებთო, საერთოდ სისულელის




აპოგეა და პირდაპირ სამარცხვინო ამბავია. ამაზე ყურადღების გამახვილება ძალიან უხერხული იქნება ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისადმი, რადგან თუ, ვთქვათ, რუსეთი დაინგრევა, ჩვენ ოსებსა და აფხაზებს ძალით შემოვათრევთ საქართველოს შემადგენლობაში?!

ამას გვთავაზობენ ეს მოღალატეები; ამ პროვოკაციას.

90-იანი წლების ყაჩაღები არიან თავმოყრილი „ნაცმოძრაობაში“. სისხლი აქვთ მოწყურებული, ვიღაცების ჯავრი სჭირთ და საქართველო უნდათ, რომ შესწირონ ვითომ უკრაინის მხარდაჭერის საბაბით და მეორე ფრონტის გახსნით საქართველოში...

მიშა კი საუკეთესო საკანში კოტრიალობს, წამლები არ აკლია და ჯანსაღი და დიეტური საკვები, მაგრამ, ციხე მაინც არ მოსწონს, ფრთებს უკვეცავს, თავისუფლად ფშვიტინი მოენატრა — განავარდება უნდა, უკრაინის ამბებში ჩარევა, ცოლების მონახულება, საქართველოში ცხელი წერტილების შექმნა, რომ მერე სისხლი ანთხევინოს ჩვენს ბიჭებს 2008 წლის მსგავსად...

მაგრამ ახლა ცუდად ყოფილა, მუცლის გვრემა აქვს თუ ფაღარათი, არავინ იცის. ვინც მისი ავადმყოფობის შესახებ აცხადებს, არ გააჩნიათ არავითარი მტკიცებულება. სახალხო დამცველის მიერ გამოყოფილი ექიმები ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებს ასაჯაროებენ — ზოგი ამბობს, უცხოეთში უნდა წავიყვანოთო, ზოგი ამბობს, უცხოეთში გაყვანასაც კი ვერ გაუძლებსო, ზოგმა თქვა, კვდებაო, მაგრამ ჩვენ ხომ შესანიშნავად ვიცით, მეგობრებო, რომ ყველაფერი ეს არის მანიპულაციები და სამწუხაროდ, სახალხო დამცველი გახლავთ ამ მანიპულაციების ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე.

არავინ ამბობს, რომ სააკაშვილი აბსოლუტურად ჯანმრთელია, ეს არც ევროპის ექსპერტებს დაუმტკიცებიათ თავის დროზე. მისი ჯანმრთელობის შესახებ მსოფლიოს შვიდმა წამყვანმა ფსიქიატრმა დასკვნა რომ დადო, მისი ფსიქიკური პრობლემების შესახებ, ესეც ვიცით, მაგრამ მისი მმართველობის პერიოდში ჯანმრთელ პატიმრებს ციხეში სპეციალურად რომ აავადებდნენ, ყინვაში წყალს რომ ასხამდნენ ცემენტის იატაკზე და გაშიშვლებულ პატიმრებს ყრიდნენ იქ ნაცემებს და ნაწამებს, მაშინ სად იყო საერთაშორისო უფლებამდამცველები, ელჩები და არასამთავრობოები და ახლა, როცა ნორმალურ პირობებში, ოღონდ სამართლიან პატიმრობაში იმყოფება სააკაშვილი, ის რატომ გახლავთ პრივილეგირებული?

სად არის აქ დემოკრატიული პრინციპები, სადაც ყველა ადამიანი ერთნაირად უნდა იყოს დაცული მიუხედავად თანამდებობისა, რელიგიური მრწამსისა, სექსუალური ორიენტაციისა და კანის ფერისა?

გასაგებია, რომ ჩვენ პატივით უნდა მოვეპყროთ, პრეზიდენტის ინსტიტუტს, პატიმარ პრეზიდენტსაც პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ ამ პრეზიდენტმა თავის დროზე პატივი რატომ არ სცა თავის თანამდებობას, ხალხის ნდობას, ხალხის იმედს, რომელიც სასტიკად გაუცრუა და ბოლოს უარი თქვა იმ ქვეყნის მოქალაქეობაზე, რომლის პრეზიდენტიც იყო ხალხის მიერ არჩეული, ანუ ამ ხალხს ზურგი შეაქცია ჯერ კიდევ მაშინ, როცა პრეზიდენტი იყო — იმ ქვეყნის მოქალაქეების უფლებებს არათუ იცავდა, არამედ ჯოჯოხეთს უწყობდნენ მის მიერ დანიშნული თანამდებობის პირები ადამიანებს ადმინისტრაციულ სამსახურებში, საპატიმროებში და სხვაგან და სხვაგან და მერე, როცა ხალხმა უარი უთხრა, ქვეყნიდან გაიქცა, უარი თქვა მოქალაქეობაზე და ბოლოს, შემოიპარა საქართველოში არაჟნის ყუთებით სავსე სატვირთო მანქანით.

რაც ჩამოვთვალე, ეს თუ ნორმალურია, მაშინ დედამიწა მრგვალი არ ყოფილა და ტყუილად შესწირვია სიმართლეს ჯორდანო ბრუნო.



მაგრამ მივუბრუნდეთ პატივცემულ ქალბატონ კელი დეგნანს და უცხოელ „დამკვირვებლებს“ — ქალბატონო დეგნან: საქართველოს მოქალაქეები პატივს ვცემთ პრეზიდენტის ინსტიტუტს, მეტიც, ძალიან დიდ პატივს ვცემთ და სწორედ იმიტომ არის დღეს მიხეილ სააკაშვილი საპატიმროში, რომ მან შეურაცხყო პრეზიდენტის ინსტიტუტი და თავად ეს საპატიო სტატუსი. ამიტომ ის ისჯება სამართლიანად და მანამდე იქნება პატიმარი, სანამ სასჯელს სრულად არ მოიხდის!

ჩვენი მოქალაქეები და ხელისუფლება არ დაუშვებენ კანონის დარღვევას, არ დაუშვებენ შერჩევით სამართალს, არ დაუშვებენ პრეზიდენტის ინსტიტუტის შეურაცხყოფას! გესმით ქალბატონო დეგნან და ძვირფასო უცხოელო დამკვირვებლებო?..

აი, სულ ამ „უბრალო“ დანაშაულებების გამო გვიზის სააკაშვილი ციხეში და თუნდაც ბოლომდე გაჭაღარავდეს, თუ გმირია, როგორც უწოდებენ მისი მომხრეები, შეეწიროს დემოკრატიას, რომლის ოკრობოკრო გზაზე საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ომი გრძელდება. შეიძლება მსოფლიომ მალე ბაიდენივით იკითხოს: „ახლა რა ვქნათ, სად წავიდეთ?“






უკრაინაში შეიარაღებული კონფლიქტი მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით უნდა მოგვარდეს, — ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში.

რეზოლუცია მიღებულია, მაგრამ შეასრულებენ თუ არა ვალდებულებებს მხარეები, უცნობია. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნები კვლავ განაგრძობენ უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდებას. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის განცხადებით, მისი ქვეყანა უკრაინას სამხედრო დახმარების სახით დამატებით 300 მილიონ გირვანქა-სტერილნგს გამოუყოფს. ოჰაიოს შტატში მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ მისმა ადმინისტრაციამ უკვე ამოწურა უკრაინის დასახმარებლად გამოყოფილი თანხები. თუმცა კონგრესს უკვე მიმართა თხოვნით, დამატებით გამოყონ უკრაინისთვის 33 მლრდ დოლარი (მხოლოდ ამ თანხის ნახევარი ეხარჯება აშშ-ს საზღვრების დასაცავად), საიდანაც 20 მლრდ შეიარაღების შესაძენად დაიხარჯება. სავარაუდოდ, კონგრესმენები უარს არ ეტყვიან პრეზიდენტს და თანხას გამოყოფენ.

ოჰაიოს შტატში გამგზავრებამდე ჯო ბაიდენმა ალაბამაში მოინახულა სამხედრო ქარხანა, სადაც ტანკსაწინააღმდეგო დანადგარებს „ჯეველინებს“ აწარმოებენ. პრეზიდენტმა შეაქო დანადგარები, თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა. „...უკრაინელი მებრძოლები ყველაფერს აკეთებენ ჩვენი ქვეყნის დასაცავად. თქვენი პროდუქცია იმდენად პოპულარულია, რომ უკრაინაში დღეს ახალშობილებს ჯეველინს არქმევენ“, — განაცხადა ჯო ბაიდენმა.

უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდებას არაეფექტურად მიიჩნევს ამერიკელი სამხედრო ექსპერტი, ყოფილი პოლკოვნიკი სკოტ რიტერი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ერაყში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციაში. რიტერის თქმით: „უკრაინელებისთვის ნებისმიერი სამხედრო დახმარება დაგვიანებულია, ისინი ვეღარ შეძლებენ შეიარაღებულ კონფლიქტში გარდატეხის შეტანას. ამის გარდა, იარაღი, რომელსაც აწვდიან, ბრძოლოს ველამდეც ვერ მიაღწევს, რუსები გზაშივე გაანადგურებენ“. ამის გარდა, აშშ-ის პოლიტიკოსები და ექსპერტები ღიად ლაპარაკობენ, რომ ხელისუფლება ვერ აკონტროლებს, სად მიდის უკრაინისთვის მიწოდებული იარაღის ნაწილი.



სულ უფრო ხშირად აკრიტიკებენ აშშ-ში ჯო ბაიდენს. კრიტიკოსთა შორის განსაკუთრებით „ფოქსნიუსის“ ჟურნალისტი, რესპუბლიკელების „სტაჟიანი“ მხარდამჭერი ტაკერ კარლსენია. მისი შეფასებით: „ბაიდენი აშშ-ის პოლიტიკის კატასტროფაა. იგი ცდილობს რუსეთთან ომის პროვოცირებას. დღევანდელი ადმინისტრაციის მიზანი უკრაინის მხარდაჭერა არ გახლავთ. დახმარება რომ უნდოდეთ, იარაღის მიწოდების ნაცვლად რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებას ურჩევდნენ“. თანაპარტიელთა გულისწყრომა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ეკონომიკური პოლიტიკით გამოიწვია — მკვეთრად გაიზარდა ფასები სხვადასხვა დასახელების პროდუქტებზე. მოსახლეობას განსაკუთრებული ზარალი ბენზინის და, საერთოდ, საწვავის ფასების ზრდამ მიაყენა.



საკადრო პოლიტიკა, რომელსაც ბაიდენის ადმინისტრაცია ახორციელებს, აშშ-ში ბევრს უცნაურად მიაჩნია. მარტის თვის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი ჯენიფერ ფსაკი თანამდებობას ტოვებდა. მაშინ ჯენ ფსაკმა უარყო. გასულ კვირას კი თავად განაცხადა თანამდებობიდან წასვლის შესახებ. მის ადგილს თეთრ სახლში დაიკავებს კარენ ჟან პიერი. 44 წლის, ლგბტ წევრი, შავკანიანი. მისი ცხოვრების პარტნიორი CNN-ის ჟურნალისტია, ორი ქალი (?) ზრდის ბავშვს... ბაიდენი ასრულებს წინასაარჩევნო დანაპირებს — თანამდებობაზე დანიშვნისას უპირატესობა შავკანიანებს და ლგბტ წევრებს ენიჭებათ.

აშშ-ში განსაკუთრებით აშფოთებთ ჯო ბაიდენის ჯანმრთელობა. ერთი თვის წინ ორჯერ სხვადასხვა შტატში საჯარო გამოსვლების შემდეგ მან სიცარიელეს გაუწოდა ხელი ჩამოსართმევად, სცენიდან გასვლისას იბნეოდა, კარნახის გარეშე გასასვლელს ვერ პოულობდა. ახლაც, ოჰაიოს შტატში უკვე ხმამაღლა იკითხა: „ახლა რა ვქნა, სად წავიდე?“ თუმცა უკვე დააანონსა, რომ აპირებს მეორე ვადითაც იყაროს კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში.

ჯო ბაიდენის უშუალო კონკურენტი, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური მტერი და მისი წინამორბედი დონალდ ტრამპი მომხრეებს იკრებს, მხარდამჭერებით სტადიონებს ავსებს. გასულ კვირას პენსილვანიის შტატში ტრამპმა კლავ დაუნდობლად გააკრიტიკა ბაიდენი. ამასთან, თავისი ორიგინალური ცეკვაც არ დაივიწყა.

ყოველდღიურად მძიმდება ვითარება უკრაინაში. გასულ კვირას გაუგონარი ულტიმატუმი წაუყენეს „აზოვის“ მებრძოლებმა რუსეთის მხარეს — 15 მშვიდობიანი მოსახლის გათავისუფლების სანაცვლოდ ითხოვდნენ ერთ ტონა პროდუქტებს და მედიკამენტებს. მსგავსი ულტიმატუმი სირიელი ტერორისტების მეტს არავის წაუყენებია!

უკრაინის საზღვაო ქვეითების რაზმი, რომელიც ასევე „აზოვსტალში“ იყვნენ გამაგრებულები, ერთი თვის წინ ბრძოლების შემდეგ ტყვედ ჩავარდა. მათი მეთაური, ვლადიმერ ბარანიუკი დაღუპულად მიაჩნდათ, ზელენსკიმ გმირის წოდებაც მიანიჭა. რამდენიმე დღის წინ რუსეთის ტელევიზიებმა მასთან ინტერვიუ გაავრცელეს. ბარანიუკის თქმით, აპრილის დასაწყისში შეეცადნენ ალყის გარღვევას, მაგრამ ვერ შეძლეს.

თავად ზელენსკი რუსეთისგან კაპიტულაციას და რეპარაციას ითხოვს. ამასობაში პოლონეთში უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ქვეყანაში ბევრი უკრაინული დროშაა, დროა, შევამციროთ ან საერთოდ



დავამთავროთ სოლიდარობის აქციებიო. პრეზიდენტი ანჯეი დუდა განსხვავებულად ფიქრობს: „...შეიძლება წლების შემდეგ უკრაინასა და პოლონეთს შორის საზღვარი აღარ იყოს, ერთად შევებრძოლოთ საერთო მტერს!“ დამაფიქრებელი განცხადებაა. თუმცა ზელენსკი მიიჩნევს, რომ მან უნდა უკარნახოს ქვეყნებს, ვინ როგორ მოიქცეს. უკრაინელები უნგრეთსაც დაუპირისპირდნენ, პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა იცოდა რუსეთის ზრახვები, მაგრამ ჩვენ დაგვიმალა და არ გაგვაფრთხილაო.

კიდევ ერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება გასულ კვირას გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა მათი პრეზიდენტის ვალტერ შტანმაიერის უკრაინაში არშეშვების გამო. „მიუღებელია, როდესაც ჩვენი ქვეყანა ასეთ დიდ დახმარებას უწევს და მის პრეზიდენტს უარს ეუბნებიან მიღებაზე“, — განაცხადა შოლცმა. საპასუხოდ, უკრაინის ელჩმა გერმანიაში შოლცს „გაბრაზებული ლივერის ძეხვი“ უწოდა.

სავარაუდოდ, დაძაბულობის ახალი კერა ღვივდება აღმოსავლეთ აზიაში. გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსის“ ინფორმაციით, აშშ-მ დაიწყო ტაივანისთვის იარაღის მიწოდება. საპასუხოდ ჩინელებმა სამხედრო ავიაციის ფრენები გააააქტიურეს. ტაივანში საჰაერო დაცვის სამსახური მზადყოფნაში მოიყვანეს. როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია.

საერთაშორისო არენაზე აქტიურობის მიუხედავად, ბორის ჯონსონს საკუთარ ქვეყანაში პოზიციები შეერყა. გასულ კვირას დიდ ბრიტანეთში ადგილობრივი არჩევნები გაიმართა. ჯონსონის კონსერვატიული პარტია დამარცხდა იმ უბნებში, სადაც ტრადიციულად დიდი უპირატესობით იმარჯვებდნენ. ლონდონში ჯონსონს მეზობლებმაც კი არ მისცეს ხმა. მართალია, ძირითად საპარლამენტო არჩევნებამდე კიდევ არის დრო, მაგრამ ასეთი დამარცხება გავლენას იქონიებს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ამათგან ყველა სამკურნალოა!



ბიჯოოოოოო!

მიხეილ სააკაშვილის ე.წ. ოჯახის საქმე იმაზე რთულად ყოფილა, ვიდრე გარეგნულად ჩანდა, ყველანი ერთმანეთზე უარესები არიან, ყველა სამკურნალოა. დავიწყოთ ნომერ პირველი პაციენტით, როგორც სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას მიერ საიდანღაც შეკრებილი ექიმები ამბობენ, ყოფილ პრეზიდენტს სჭირდება კომპლექსური მკურნალობა. კონკრეტულად რა სჭირდება, ამაზე დუმან.

ყოფილი თავისებურად უყურებს მოვლენებს, ყურადღებას ითხოვს, რაც ციხეში ზის, 800 სტუმარი ჰყოლია, მაგრამ მაინც უკმაყოფილოა, დღეში 3-4 თათბირი ცოტაა, მეტი მინდაო, თანაც არეალი უნდა გავაფართოვოთო, პროფესიით ექიმი დეპუტატები





დამელაპარაკონ, თვალებში ჩამხედონო. დიმიტრი ხუნდაძე ამბობს, მაგასთან შეხვედრის საჭიროებას ვერ ვხედავ, საკუთარ ჯანმრთელობას თავისივე სურვილით იუარესებს, სახელმწიფო და პარლამენტი არაფერ შუაშიაო. არც ლადო კახაძე და დავით სერგეენკო იკლავენ თავს მის თვალებში ჩახედვის გამო.

ლომჯარიას ექიმები განაგრძობენ, გინდათ თუ არა, სერვისი უცხოეთში უნდა მიიღოსო. აქ ვერ მიიღებსო? ვეკითხებით საზოგადოების პატიოსანი წევრები, ისევ დუმან. ერთს წამოსცდა, დიახ, საქართველოშიც შეუძლია სერვისის მიღება, მაგრამ აქ „მაგრამი“ უნდა ვთქვათ, „მაგრამიო“. ხომ მაგარი მედიცინური განმარტებაა? რასაც უცხოეთში გააკეთებენ, იმის გაკეთება აქაც შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს „მაგრამი“-ო. მეორე ექიმი იძახის, არაფერი არ ვიცი, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ სააკაშვილი უნდა გადაიყვანონ სპეციალურად მომზადებული ტრანსპორტით, თვითმფრინავით, ავტომობილით ან სხვა რამითო. სხვა რამე რა არი, არ აკონკრეტებს - ჯორით? აქლემით? ცხენით? ფაეტონით? ეტლით? ადრე მონებს ფარაონები რომ გადაჰყავდათ და თან დუყის ფოთლით უნიავებდნენ, იმით?

დიმიტრი ხუნდაძე ამტკიცებს, საბედნიეროდ მდგომარეობა არ არის ისეთი, როგორც ხატავენ, ოპოზიციონრები სააკაშვილს შიმშილობისკენ უბიძგებენო. ცდება ბატონი ხუნდაძე, სააკაშვილს შიმშილობისკენ ვინც არ უნდა უბიძგოს, ის რეალურად არასდროს იშიმშილებს, შეიძლება უბრალოდ ფაფებზე გადავიდეს. ერთხელ უკვე ქნა მაი ამბავი და ძალზედ გაბანძდა, გაუგეს, ვერ გამოგვაპარა.

„გირჩელები“ იძახიან, თუ „ნაცმოძრაობა“ დაიშლება, სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას მხარს მაშინ დავუჭერთო. მეგრელიშვილი ამბობს, სააკაშვილი სპექტაკლებს აწყობსო. აშკარად ეგრეა, ბატონი მიხა სპექტაკლებს დგამს, თანაც უნიჭოს, მაგრამ ამათ „ნაცმოძრაობის“ დაშლა რატომ მოუნდათ? მაქვს გონივრული ეჭვი, რაღაცა იციან და ღიად არ ამბობენ. არსებობს კულუარული „ჭორი“, თითქოს სააკაშვილს პარტია მართლა ეშგისთვის არ მცალია, უფრორე მნიშვნელოვანი საქმეები მაქვსო.

ამასობაში მიხეილის ძმებმა და მშობლებმა მთავრობის კანცელარიასთან აქცია გამართეს. დააახლოებით 300-400 არსება იქნებოდა. ეს კატასტროფაა? 30 ადამიანზე ცოტა მეტს კი აგროვებენ, მაგრამ აშკარად გაუხუნდათ ლილა, დამთავრდა ამათი ბოგინი. წესით უნდა რცხვენოდეთ, ბოდიშსაც იხდიდნენ, ამას არ აკეთებენ, პირიქით, იქით იმუქრებიან, თუ პრეზიდენტს არ გაათავისუფლებთ, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთ, მთელი საქართველო ჩვენს გვერდით არისო.

ლება, ნიკანორ მელია ჩალიჩობს „ნაცმოძრაობის“ დათრევას თავის ფინანსებიანად. მე პირადად არ გამოვრიცხავ, მელიამ მართლა „დააწეროს“ სააკაშვილს ესოდენ „ნატანჯ-ნავაებარი“ პარტია და მალე სამი თითის კომბინაციაც აჩვენოს. მაიცადეთ... კაცი თავმჯდომარეა და არაფერს ეკითხებიან, ფული კობა ნაყოფიას ხელშია, იდეოლოგია კიდევ პეტრე ცისკარიშვილს უჭირავს. თან უკვე ისე უყურებენ, ამრეზით და ხშირად ჰკბენენ კიდევაც.

ირაკლი კობახიძე ამბობს, სააკაშვილი სიმულიანტობსო (ეგ ვიცით), ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ შეიძლება ჰქონდეს ანორექსია, მაგრამ ანორექსია რა შუაშია, საერთოდ ვერ გავიგე, ეს დაავადება 90% ქალებს ახასიათებთ, 10% - კაცებსო. დიახ, ვინაიდან მიშა იშვიათი მოვლენაა, სწორედ იმ 10%-ში შეიძლება შედიოდეს (ვხუმრობ).

სააკაშვილს რომ ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, ამის შესახებ ადრეც ვიცოდითო, განაგრძობს კობახიძე, თუმცა ამ პრობლემებით ის ორჯერ აირჩიეს პრეზიდენტადო.

ჰოდა, რატომ ავირჩიეთ? მახსოვს, ეგ პრეზიდენტობამდეც ვერ იყო კარგად, ერთხელ გლდანში გადახრილი კორპუსის საძირკველში ჩახტა, ძლივს ამოათრიეს.

თუ ფსიქიკური პრობლემები გართულდება, შეიძლება ფსიქიატრიულში გადავიყვანოთო, აცხადებენ ხელისუფლებაში. საინტერესოა, რომელ ფსიქიატრიულზე დაიყოლიებენ ამ სახელოვან და ცელქ პაციენტს, ხონის თუ გაჩიანის? არ ვიცი, შეიძლება საერთოდაც არცერთზე არ დათანხმდეს და გამოაცხადოს, მაგითხარით, 300-იოდე ხაშალი არსება ძლივს გამოჰყავთ და ამტკიცებენ, მთელი საქართველო მხარს გვიჭერსო, მართლა სამკურნალოები არიან, მაგრამ ფაქტია, მკურნალობა დაგვიანებულია. მოკლედ, იყბედეს, იყვირეს, გულის ფიცარზე მჯიღები ირტყეს, დაიშალნენ. ერთი დღე დაისვენეს, 6 მაისს, გიორგობას ბათუმში შეიყარნენ და გამოაცხადეს, მთელი აჭარა ჩვენთანააო. ისევ 300 ხაშალი არსება ჰყავდათ, ჯერ მურმან დუმბაძე გაიხა ილლიაში, მერე გიგი უგულავამ წამოაწვინა „ახალი“ ამბავი - მიშას უკრაინის ელჩად ნიშნავენ საქართველოშიო. ეს რომ უვიცი იყო, ცოლებიც კი მიუხვდნენ და ამიტომაც გაექცნენ... არადა, ერთ დროს დედაქალაქის მერად მუშაობდა. როგორც ჩანს, ამან იმდენიც არ იცის, რომ საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე აქ ელჩს ვერავინ დანიშნავს. ამ საქმის სპეციალისტების განმარტებით (გია აბაშიძეს დავესესხები), თუ ზელენსკი და კულება სრულიად არაადეკვატურნი გახდნენ და სააკაშვილი უკრაინის ელჩად შემოგვთავაზეს, არსებობს ასეთი დიპლომატიური ინსტრუმენტი - აგრემანი (ფრანგ. აგრ მენტ, თანხმობა), სახელმწიფოს თანხმობა, მიიღოს უცხო სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული პირი დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელად. აგრემანის გამოთხოვა-მიღება აუცილებლად წინ უსწრებს დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნას. გამოთხოვისას სახელმწიფოს ეგზავნება დასანიშნავი პირის ბიოგრაფიული ცნობა. უარი აგრემანის მიცემაზე დასაშვებია მიზეზთა დაუსახელებლად და არამეგობრულ აქტად არ მიიჩნევა.

### ჩემი შენ გითხარიო...

სანამ უგულავა ბათუმში საკუთარ დუპლეტობას ამტკიცებდა და შლეგი მურმან დუმბაძე ილლიაში იხეოდა, „ტუსაღმა“ სააკაშვილმა მორიგი განცხადება გამოაცხო:



„დღეს მივიღე დონალდ ტუსკის წერილი „ევროპის სახალხო პარტიის“ სახელით, მიწვევენ მათ ყრილობაზე მაისის ბოლოს, მთავაზობენ ჩასვლას და სიტყვით გამოსვლას“.

მოგვიანებით დაამატა, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობამ ხელი არ შემიშალა, ჰოლანდიაში აუცილებლად გავემგზავრებიო.

ეგე, თქვენ კიდე იძახით, ფინთად არიო, „პიპკიდან“ უშვებსო, პურის ჭამაზე უარს ამბობსო, სამი წამლიდან ერთს იღებსო, შეიძლება ფსიქიატრიულში დავაწვინოთო.

ვერა ჰხედამთ, კაცს გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები აქვს?

ეხლა ციხეში საჯდომათა სცალია ამოდონა ავტორიტეტსა?!

ან რო იჭერდით, რას იჭერდით, არ იცოდით, რო ადრე თუ გვიან დონალდ ტუსკი მიიწვევდა და სიტყვით გამოსვლასაც შესთავაზებდა დედამიწის ბედსა და იღბალზე?!

ეხლა ტუსკიღა გვაკლდა, ეგეც დაგვიწყებს ცოტა ხანში ჭკუაზე დარიგებას!

უკვე მესამედ ვამბობ ამ სტატიაში - მხოლოდ ოჯახის წევრები კი არ არიან სამკურნალოები, ვინც ამათ დასდევს, ისინიც. ორი მიტინგი გამართეს და ორივეგან გამოჩნდა ანზორ მელია, ნიკანორის მშობელი მამა. ამ ადამიანის აზროვნების დონე არჩევნების პერიოდში ვნახეთ, ზუგდიდში კენჭს რომ იყრიდა. ახლა საქმე გამოლევია, თავს შიგნიდან იფხანს - ირაკლი კობახიძეს დასცინის, რა ამბავია, მაგოდონა თმა რომ ადევს თავზე, სარკეში რატომ არ იხედება, არ რცხვენიაო?

ჰა, ჰა, ჰა!

ამას თმა აქვს, რაზე უნდა რცხვენოდეს? ნიკანორს ერთი ღერი რომ წამლადაც არ აქვს და თვითონაც არაფერი გააჩნია, განა ეს არ არის სირცხვილი?

არა, რააააა! პირველად გავიგე, ადამიანს თმის გამო აბუჩად იგდებდნენ... უფრო სწორად, პირველად გავიგონე, მელოტი თმიანს დასცინოდეს. აი, ამიტომაც ვამბობ, ხალხო, ესენი მკურნალობას აღარ ექვემდებარებიან, ამათი ადგილი ან ხონში, ან კიდევ გაჩიანშია!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ჩარლზ თაუნზი: ჩვენი სამყარო განზრახ დაიგეგმა და ამიტომაც არის ასეთი განსაკუთრებული

*მეცნიერება ცდილობს აღმოაჩინოს და აღწეროს ჩვენი სამყაროს კანონები და წესრიგი. რელიგია კი ცდილობს სამყაროს აზრისა და მნიშვნელობის გაგებას. მათი გადაკვეთის ადგილი არის ის ტერიტორია, რომელსაც მაზერის და ლაზერის გამომგონებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი ჩარლზ ჰარდ თაუნზი იკვლევდა მთელი ცხოვრების მანძილზე, იგი, 2015 წელს, ოთხმოცდაცხრამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა. 2005 წელს, ოთმოცდაათი წლის მეცნიერმა, ტემპლტონის პრიზი მიიღო სულიერი რეალობის კვლევაში მიღწეული მიგნებებისა და შეტანილი წვლილისთვის. თაუნზმა რელიგიასა და მეცნიერებას შორის პარალელების შესახებ პირველად დაწერა ჟურნალში 1966 წელს, ფიზიკაში, კერძოდ კი კვანტურ ელექტრონიკაში მისი ინოვაციური წვლილისთვის ნობელის პრემიის მიღებიდან ორი წლის შემდეგ. 1953 წელს, ნაწილობრივ იმის წყალობით, რასაც თაუნზი უწოდებდა "გამოცხადებას", ერთ-ერთ პარკში სეირნობისას, მან გამოიგონა მაზერი, რომელიც აძლიერებს მიკროტალღებს და ინტენსიურ სხივს წარმოქმნის. ამის საფუძველზე მან მიაღწია მსგავს შედეგს უკვე ხილული სინათლის გამოყენებითაც, რის შედეგადაც მივიღეთ ლაზერი (ეს სახელიც მისი მოფიქრებულია).*

*გთავაზობთ, თაუნზთან ჟურნალისტ ბონი აზაბ პაუელის, 2005 წლის საინტერესო ინტერვიუს, რომელშიც რელიგიასა და მეცნიერებას შორის ურთიერთკავშირის შესახებაა საუბარი.*



**ჟურნალისტი - თუ მეცნიერებასა და რელიგიას საერთო მიზანი აქვთ, რატომ უპირისპირდებოდნენ მათი წარმომადგენლები ერთმანეთს ისტორიის მანძილზე?**

თაუნზი -მეცნიერებასა და რელიგიას დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებთ, ზოგჯერ ურთიერთობა პოზიტიური იყო, ზოგჯერ კი არა. დასავლური მეცნიერების ზრდის კვალდაკვალ, ნიუტონის მექანიკის პირობებში მეცნიერები თვლიდნენ, რომ ყველაფერი პროგნოზირებადია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ღმერთისთვის ადგილი აღარ რჩებოდა



დეტერმინისტულ სამყაროში. მორწმუნეები ამას არ ეთანხმებოდნენ. შემდეგ გამოჩნდა დარვინი და მორწმუნეებსაც არ სურდათ მისი იდეების გაზიარება, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ მისი სწავლება უარყოფდა შემოქმედის იდეას. ასე რომ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მეცნიერებასა და რელიგიას შორის ნამდვილი ომი არსებობდა. მაგრამ რაც უფრო ღრმავდებოდა მეცნიერული ცოდნა, განსაკუთრებით ისეთ მეცნიერებებში, როგორიცაა ფიზიკა და ასტრონომია, ჩვენ უფრო მეტი გავიგეთ. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ სამყარო არ არის დეტერმინისტული, კვანტურმა მექანიკამ მოახდინა რევოლუცია ფიზიკაში და აჩვენა, რომ საგნები ბოლომდე პროგნოზირებადი არ არის. ეს ცხადია არ ნიშნავს იმას, რომ ამით აღმოვაჩინეთ ის ადგილი, საიდანაც ღმერთი ხილული გახდა, მაგრამ ახლა ვიცით, რომ ყველაფერი ისეთი პროგნოზირებადი აღარ არის, როგორც გვეგონა და რომ არის რაღაცეები, რაც არ გვესმის. მაგალითად, არ ვიცით რისგან შედგება სამყაროს მატერიის ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი, ვერ ვხედავთ მას როგორც ჩანს, ეს არც ატომია და არც მოლეკულა. ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ის არის, ვხედავთ მის გავლენას გრავიტაციაზე, მაგრამ არ ვიცით რა და სად არის იგი, გარდა იმისა, რომ ის სამყაროს გარშემო ფართოდ არის მიმოფანტული. და ეს ყველაფერი ძალიან უცნაურია. ასე რომ, როდესაც მეცნიერება აწყდება საიდუმლოებებს, ის იწყებს საკუთარი შეზღუდვების აღიარებას და უფრო გახსნილი ხდება. ჯერ კიდევ არიან მეცნიერები, რომლებიც მკვეთრად ემიჯნებიან რელიგიას და პირიქით. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მეცნიერები თანდათანობით სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ მეცნიერული გაგებისა და ცოდნისთვისაც არსებობს გარკვეული შეზღუდვები და გადაულახავი ჩარჩოები.

**- თქვენ ერთხელ თქვით: „მე მჯერა, რომ არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი გრძელვადიანი საკითხი, ვიდრე ჩვენი ცხოვრების და ჩვენი სამყაროს საზრისია". როგორ სცადეთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა?**

**თაუნზი** - ბავშვობაშიც კი, ჩვეულებრივ, გასწავლიან, რომ არსებობს გარკვეული მიზანი, რასაც უნდა ემსახურო და ცხოვრებაც შესაბამისად წარმართო. მაგრამ ეს ძალიან ლოკალური საკითხია და უფრო იმას ეხება, თუ რა გინდა ცხოვრებისგან მიიღო. უფრო ფართო ხასიათის კითხვაა, "რას წარმოადგენს ადამიანი ზოგადად და რას წარმოადგენს ჩვენი ეს სამყარო?" ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადამიანი ცდილობს გაიგოს თუ რა არის ეს მშვენიერი სამყარო, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით და რომელიც ესოდენ განსაკუთრებულია: "რატომ არის იგი ისეთი როგორიც არის? რა არის თავისუფალი ნება და რატომ გვაქვს იგი ჩვენ? რა არის არსებობა? რა არის ცნობიერება?" ჩვენ ცნობიერების განსაზღვრებაც კი არ შეგვიძლია. როდესაც ადამიანი ფიქრობს ამ ყველაფერზე, სულ უფრო და უფრო მოუცილებელი ხდება კითხვა, თუ რა არის ამ სამყაროს და ჩვენი ცხოვრების მნიშვნელობა და საზრისი. რა თქმა უნდა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის, მაგრამ ისინი უმნიშვნელოვანესია და სწორედ ამ ყოველივეს შესახებ არის რელიგიაც. მე მიმაჩნია, რომ მეცნიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული მასთან, რადგან მეცნიერება ცდილობს გაიგოს, თუ როგორ არის აგებული სამყარო და რატომ არის რაღაც ისე, როგორც არის, მათ შორის ადამიანის სიცოცხლეც. თუ წინ წავიწევთ სამყაროს აგებულების შეცნობაში, შესაძლოა, ადამიანის დანიშნულებას ამით მეტი ნათელი მოეფინოს. ვფიქრობ, რომ ალბათ საუკეთესო პასუხი ისაა, რომ ჩვენ ადამიანები როგორღაც ერთგვარად ღმერთის მსგავსად ვართ შექმნილნი. ჩვენ გვაქვს თავისუფალი ნება. ვართ დამოუკიდებლები, შეგვიძლია რაღაცეების შექმნა და ეს მართლაც გასაოცარია. და რაც უფრო მეტს ვიგებთ, უფრო მეტად შემოქმედნი ვხდებით.

**- თქვენ აღწერეთ თქვენი შთაგონება მაზერისთვის, როგორც გამოცხადების მომენტი, უფრო სულიერი ვიდრე ის, რასაც ჩვენ მეცნიერულ შთაგონებად მივიჩნევთ. გჯერათ, რომ ღმერთი ასე აქტიურად ერევა ჩვენ ცხოვრებაში?**

**თაუნზი** - მაზერი იყო ახალი იდეა, უეცარი ვიზუალიზაცია, რაც მე მქონდა იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გაკეთებულიყო ელექტრომაგნიტური ტალღების წარმოქმნისთვის, ასე რომ, ეს გარკვეულწილად ძაან ჰგავს იმას, რასაც ჩვენ რელიგიაში გამოცხადებას ვუწოდებთ. მაზერისა და ლაზერის შთაგონება იყო თუ არა ჩემთვის ღვთის საჩუქარი, ამაზე შეიძლება ვიკამათოთ. ნამდვილი კითხვა შემდეგია, საბოლოო ჯამში საიდან მოდის სრულიად ახალი ადამიანური იდეები? რამდენად გვეხმარება ამაში ღმერთი? ვფიქრობ, ის ყოველთვის მეხმარებოდა. ის ყველას გვეხმარება ვფიქრობ, რომ ჩვენს სამყაროში არის გეზი და ის განსაზღვრული და დადგენილია. როგორ? ჩვენ არ ვიცით ეს. ზოგადად, ბევრი კითხვაა როგორც მეცნიერებაში, ასევე რელიგიაში და საჭიროა მსჯელობა. მაგრამ ვფიქრობ, სულიერება მუდმივად ახდენს გავლენას ჩემზე და სხვებზეც.

**- როგორც ჩანს, თქვენ ეთანხმებით „გონიერი შემოქმედის" მოძრაობას, კრეაციონიზმის უახლეს სწავლებას, რომელიც ამტკიცებს, რომ სამყაროს სირთულე აჩვენებს, რომ ის გამიზნულად არის შექმნილი.**

**თაუნზი** - მჯერა როგორც შემოქმედების, ასევე ღმერთის უწყვეტი ზეგავლენისა სამყაროსა და ჩვენს ცხოვრებაზე, მჯერა, რომ ღმერთი მუდმივად ზემოქმედებს რა თქმა უნდა, სამყაროც მისი კანონებით აიგო და განაგრძობს განვითარებას. თუმცა ბიბლიის ერთკვირიანი შესაქმის ისტორია უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც ანალოგია. იმ დროს ებრაელებს ზუსტად არ ეცოდინებოდათ სამყაროს ასაკი. ისინი მათთვის ხელმისაწვდომი საუკეთესო წარმოდგენებით ხელმძღვანელობდნენ და ვფიქრობ, რომ მათ ეს საოცრად კარგად გამოუვიდათ, თუმცა ეს მხოლოდ ანალოგიაა.

**- უნდა ისწავლებოდეს თუ არა გონიერი შემოქმედება დარვინის ევოლუციასთან ერთად სკოლებში, როგორც რელიგიურმა კანონმდებლებმა გადაწყვიტეს პენსილვანიასა და კანზასში?**

თაუნზი - ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი დისკუსია წამოიჭრა. ადამიანები ბოროტად იყენებენ ტერმინს გონიერი შემოქმედება, თუკი ფიქრობენ, რომ ყველაფერი გაყინულია შექმნის ამ ერთი აქტის შედეგად და რომ არ არსებობს ევოლუცია, ცვლილებები. ეს სრულიად ალოგიკურია ჩემი აზრით. მეცნიერული თვალსაზრისით დანახული გონიერი შემოქმედება საკმაოდ რეალურია. ჩვენი სამყარო ძალიან განსაკუთრებულია, გასაოცარია, რომ ის სწორედ ასე გაჩნდა. ფიზიკის კანონები რომ არ ყოფილიყო ისეთი, როგორიც არის, ჩვენ აქ საერთოდ ვერ ვიქნებოდით. მზე არ იარსებებდა, გრავიტაციის, ბირთვული და მაგნეტური თეორიის კანონები, კვანტური მექანიკა ზუსტად ისეთი რომ არ ყოფილიყო როგორიც არის, აქ არ ვიქნებოდით.ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ არსებობს უთვალავი სამყარო და თითოეული მათგანი ოდნავ განსხვავებულია და რომ ჩვენი სამყარო ზუსტად ისეთი აღმოჩნდა როგორიც არის. იცით რა, ეს პოსტულატია და საკმაოდ ფანტასტიკური პოსტულატი – ამ შეხედულების თანახმად არსებობს უსაზღვრო რაოდენობის სამყარო და თოთოეულში განსხვავებული კანონებია. სხვა შესაძლებლობაც არსებობს, რომ ჩვენი სამყარო განზრახ დაიგეგმა და ამიტომაც გამოვიდა ასეთი განსაკუთრებული. ამგვარი შემოქმედება შესანიშნავად შეიძლება ითავსებდეს ევოლუციასაც. ცხადია, რომ არსებობს ევოლუცია და ეს მნიშვნელოვანია. არის როგორც ევოლუცია, ისე გონიერი შემოქმედება და ორივე თანმიმდევრულია.



**- 28 ივლისს 90 წლის გახდებით (ინტერვიუ 2005 წელსაა ჩაწერილი). გვითხარით, რა არის ხანგრძლივი ცხოვრების საიდუმლო?**

**თაუნზი** - იღბალი მნიშვნელოვანია, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, დრო სასარგებლოდ და კარგად გაატაროთ. ზოგი ამბობს, რომ ბევრს ვმუშაობ, შაბათობით მოვდივარ აქ და საღამოობით ვმუშაობ როგორც ჩემს სამუშაო მაგიდასთან, ისე ლაბორატორიაშიც. მაგრამ ვფიქრობ, რომ უბრალოდ დიდ სიამოვნებას ვიღებ, როდესაც ფიზიკით და ზოგადად მეცნიერებით ვარ დაკავებული. მაქვს სამი ტელესკოპი ვილსონის მთაზე; გასულ კვირას რამდენიმე ღამე იქ ვიყავი. ბევრი ვიმოგზაურე. კვირაობით მე და ჩემი მეუღლე, რომელიც სამოცდაოთხი წლის არის, ლაშქრობაში დავდივართ. მე ვიტყოდი, რომ საიდუმლო ის არის, რომ შემიძლია ვაკეთო ის, რაც მსიამოვნებს და მომწონს და ვიყო აქტიური.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72



# სახელდახელო ჩანაწერები, ანუ სასაცილოდან სასატირლომდე

### ბრიყვი

საქართველოს მოქალაქეებს ბუბა კიკაბიძის ვალი გვაქვს?

წინა კვირის ხუთშაბათს პარლამენტში მივიდა, სურათი გადაიღო და თქვა: მიშა მიყვარს, გაათავისუფლეთ, თორემ ეს ამბავი ეგრე დამთავრდებაო.

დაიმუქრასავით... თან ჩაილაპარაკა, ცოტაც უნდა მოითმინოს და ყველაფერი ისე იქნება, ჩვენ რომ გვინდაო.

დეპუტატად კი ვარ გამწესებული, მაგრამ არც პარლამენტში სიარულს ვაპირებ და არც სადეპუტატო საქმიანობის განხორციელებასო. გავბრიყვდი და გამდისო... უფრო სწორად, გამდის და გავბრიყვდიო.

ფულს იღებს, არც კი წითლდება... მგონი მივლინებებსაც იფორმებს, როცა სასიმღეროდ მიდის!

საპარლამენტო უმრავლესობავ!

ბუბა პაპა იძახის, დეპუტატობა მკიდია, მაგრამ ფული მინდაო. ვერ გავიგე, ამ ადამიანისა მთელი ცხოვრება ვალი გვაქვს? ჯერ იყო, ბიძინა ივანიშვილის ჯიბეზე იყო ჩამოკიდებული, ახლა კიდევ ბიუჯეტის ვირთხა გახდა!

ჰმ... მიშა ძალიან მიყვარს, უნდა გაათავისუფლოთო, ხალხიც თანახმააო. საღოლ, ბუბაჯან, აღარც კანონი, აღარც სამართალი, აღარც ადათი, აღარც წესი და აღარც ნამუსი?

მეც ვამბობ, რაღა...

ნამუსი არა, ჩემი ფეხები!!!

### ბოლმის ბუკეტი

დიახ, გედეონ ფოფხაძეს, ამ ბოლმის ბუკეტსაც აერია რამსები და მიადგა ირაკლი ღარიბაშვილს!

ისაო... როცა ხატი დაუდო ქართველებს ჯალალედინმა და



უთხრა, ფეხი დააბიჯეთო, იქ ღარიბაშვილი რომ მდგარიყო, ეტყოდა, დააბიჯეთ ფეხი და წამოდით სახლში მშვიდობითო.

გითხარით, რამსები აერიამეთქი, უკვე აღარ იცის, რეებს მიჰქარავს და რა უნდა!

გედეონი 2012-ში წაიყვანეს „ქართულ ოცნებაში“. ჩააცვეს, დაახურეს, დააპურეს, მოაფერიანეს, გაასუქეს (ჩხირივით იყო), იფიქრეს, კაცად ვაქცევთ, ლაპარაკს ვასწავლით, ცოტა აზროვნებასაც დავუხვეწავთ, რამეში გამოვიყენებთო.

თქვენც არ მომიკვდეთ!

გედეონი ვერა და ვერ გასცდა ნიკა გვარამიას დონეს, ველარ გამოძვრა მისი ოფლიანი უბიდან, იქ დარჩა, ერთად რომ „აზროვნებდნენ“.

ეხლა ეს უდღეური ისეთ ადამიანს მიადგა, მისი ჩრდილის ფასიც რომ არ არის. იმ კაცს ეტოლება, მის ხსენებას პირის გამორეცხვის გარეშე რომ ვერ უნდა ბედავდეს!

ჰმ... ღარიბაშვილი ხატს ფეხს დააბიჯებდა და სახლში მშვიდობით წავიდოდა, ხალხსაც ამას მოუწოდებდაო.

გედეონ!

ჯალალედინი საქართველოს პირველად 1225 წელს შემოესია. იყო ღალატი, ქიშპობა, გაუგებრობა და ამიტომაც დავმარცხდით. თუმცა მას დედაქალაქი არ აუღია!

გედეონ!

ჯალალედინი საქართველოში ხელახლა 1226 წელს შემოიჭრა და... ისევ იყო ღალატი - მუსლიმებმა თბილისის კარი ფართოდ გაუღეს!

გედეონ!

რაც შემდეგ მოხდა, ეს იყო ღალატისა და გამყიდველობის ნაყოფი. დარწმუნებული ვარ, შენ რომ 1226-ში თბილისის მთავარ კართან მდგარიყავი და ჯალალედინი მოგდგომოდა, კარსაც გაუღებდი და მტვრიან ფეხებსაც აულოკავდი.

იცი, რატომ ვარ ამაში დარწმუნებული? იმიტომ, რომ შენ ყოველთვის იმ ჭაში აფურთხებ, საიდანაც ერთ დროს წყალს დიდი სიამოვნებით სვამდი, თან იძახდი, ცივი და კამკამააო. მეორე „კრუგზე“ რომ აღარ წამოგსვეს პარლამენტში, დაიბოღმე.

გედეონ, შენი ადგილი და ზომა-წონა იცოდე, ხელოვნურად რომ შეგქმნეს და ვერად გაქციეს, ეს უნდა გახსოვდეს!!!

### გასაუბრება სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლებთან

ბიჭებო, ცოტა ხნის წინ ყვითელი „მარშრუტკებით დაჯლიგინობდით“... არა მხოლოდ შავი ბოლი გაგდიოდათ და დედაქალაქს წამლავდით, საკუთარ ჯანმრთელობასაც აზიანებდით. მეტიც, საღამოს სახლებში ისეთი მურიანები ბრუნდებოდით, ოჯახის წევრები ვეღარც კი გცნობდნენ.

დედაქალაქის მერმა თქვა, ეგრე არ ივარგებსო და გასივსივებულ მანქანებზე გადახსხათ და კაი ხელფასებიც დაგინიშნათ. აღარც შავი ბოლი გაგდით უკნიდან, აღარც დედაქალაქს წამლავთ და



საღამოს სახლში რომ ბრუნდებით, ეგრევე გცნობენ.

ჰოდა, ეხლა უპასუხეთ პატივცემულ საზოგადოებას, რატომღა თვითნებობთ, რა არ მოგწონთ, რატომ არ აჩერებთ? ანუ ფულს ხელზე რომ ვეღარ იღებთ, უკვე სულერთია? გკიდიათ? ჰო, რავი, ეგრე გამოდის!

ვატყობ, ამ ზაფხულს (თუ მკაცრად არ გაგაკონტროლეს) კონდიციონერებზე იგივე ამბავი იქნება, როგორიც ყვითელი „მარშრუტკების“ ეპოქაში იყო - საწვავს დაზოგავ, ხეირია, მგზავრს დასცხება, ავად გახდება თუ გააჟრჟოლებს, ეგ რაში გაინტერესებთ? საწვავი ძვირია, ლიტრა 3 ლარშიც რომ გაუშვათ, კლიენტი მუდმივად გეყოლებათ.

რასაკვირველია, ყველას არ მოგმართავთ, თქვენს შორისაც ბლომად არიან ნორმალურები, მაგრამ ვინც გასივსივებული მანქანით დაბრძანდება და ისევ თაღლითობაზე ფიქრობს, მას საერთოდ უნდა ჩამოერთვას ამ სფეროში მუშაობის უფლება!

კახა კალაძის თქმით, დღეის მდგომარეობით 200-ზე მეტი მძღოლია დაჯარიმებული.

რა ამბავია 200-ზე მეტი?

ბევრია, მეგობრებო, ბევრი!

### გულბოზი

ამას წინებზე, გულბოზ სანიკიძემ ძალზედ ცუდი რაღაცები იკადრა!

არა, ბოლო დროს სულ ცუდებსა კადრულობს, „ზაჟიგანია“ უკვე გასასწორებელი აქ (პრინციპში, აღარც უსწორდება) და „პიპკიდანაც“ კაი გვარიანად აპარებს, მაგრამ ეხლა ქართველ კაცებს დაგვერია!

ისაო... ნახეთ, უკრაინელი კა-



ცები სამხედრო კომისარიატებთან დგანან რიგებში, ქართველი კაცები კიდე მაკარონის რიგებშიო!

თან ძალიან მკაცრადა თქვა, მრისხანე გამომეტყველებით, ძახილის ნიშნებით (!!!).

ვახ... ნამუსი აღარ არი?!

ჯერ ერთი, ვერ გავიგე, ამ „კლეჩატი“ ჩანთით მოსიარულე კასრმა სად გვნახა მაკარონის რიგში, თუ თვითონაც ჩვენს უკან არ იდგა?!

მეორეც - ვის ამუნათებს, რატომ ამუნათებს, რა, თვითონ ფრონტის ხაზზე რუსების სატანკო ბატალიონი გაანადგურა და ავიაციას ანდერძი აუგო?!

გულბოზიიიიიი!!!

წინა საუკუნეში ბოლშევიკებს რო ებრძოდი თავგანწირულად, ეგ გვახსოვს, ამას ვაფასებთ, მაგრამ ეხლა ახალი გმირული საქციელებია საჭირო, გაგვიძეხ, გამოგყვებით, შე ჩემა!

ოღონდ, სანგარში არ დაიწყო ღნავილი, ხაშლამა და ჩაქაფული მინდაო!

### ჰაიმეეეეეეეეეე!

გიორგი მარგველაშვილზე იძახიან, მალე „ნაციონალური მოძრაობის“ „უმფროსი“ უნდა გახდესო, პირდაპირ სააკაშვილს უნდა დეექვემდებაროსო. არა, ადრეც ექვემდებარებოდა, მაგრამ ეხლა ეს ყველაფერი ოფიციალურად იქნებაო, ადრე არაოფიციალური იყოვო.

როგორ გითხრათ... ამ აბუეტისგან რაღაც ამდაგვარს ველოდი, მაგრამ თლა „უმფროსი“ თუ გახდებოდა, მაინც ვერ წარმოვიდგენდი ხოლმე.

მართალია, მხედართმთავარი ვერ იქნება (ის ციხეშია), მაგრამ იმის შემდეგ პირველი კაცი მაინც ხომ იქნება?

ვერა? იმის შემდეგ პირველი კაცი კობა ნაყოფიაა?

ჰოდა, ნაყოფიას შემდეგ მაინც ხო იქნება?

ვერა? იმის შემდეგ პირველი კაცი პეტრე ცისკარიშვილია?

რავი, ბოლო-ბოლო, რაც იქნება, ხო იქნება? ტელევიზორში ხო ხშირად გამოა? ჯამაგირსაც ხო დაუნიშნავენ, რო კვირაში ერთხელ პირი გაიპარსოს და „ბომჟივით“ აღარ იაროს?!

ისე, სასხვათაშორისოდ მაინტერესებს, ეგეთი დუპლეტობა დედამიწის ზურგზე რომელიმე ყოფილ პრეზიდენტს ჩაუდენია?!

დუშეთში ჟურნალისტებმა ჩააკითხეს, მართლა აპირებთ ეგეთ რაღაცასო? იმან კარი თავისი თავის სიგანეზე გააღო, გამოიხედა და ეგრევე საქმე გაარჩია, რომ მოდიხართ, არ უნდა დამირეკოთო?

რომ დაგვერეკა, არ გვიპასუხებდითო.

არა, იქნებ გიპასუხებდითო?

რავი, დავრეკეთ და არ გვიპასუხეთო.

მე კომენტარებს ეგრე ჰაიჰარად არ ვიძლევიო (ვითომ ჯერაც არ მიუცია ჰაიჰარად). მიედო, მოედო, ხან ისე იბოდიალა, ხან - ასე, არ უარყვია, უარი არ უთქვამს...



აი, ნახავთ, ერთ დღესაც ეს მართლა გახდება „ნაციონალური მოძრაობის“ უმფროსი.

ამბები სახელდახელოდ ჩაიწერა
**გელა ზედელაშვილმა**
555 48 48 61

# ჯაშუში ცოლ-ქმრის 50-წლიანი სიყვარულის ამბავი, რომლებმაც სსრ კავშირისთვის ატომური ბომბის ნახაზები მოიპარეს

**დღესაც კი ამ ოჯახური წყვილის მოღვაწეობა ბოლომდე გაცხადებული არ არის. ლეონტინა პეტკა, რომელიც ცოლად მორის კოენს მიჰყვებოდა, ვერც კი ხვდებოდა, რას საქმიანობდა მისი შეყვარებული. ხოლო როცა გაიგო, მძიმე გადაწყვეტილება მიიღო — ყოფილიყო იმ ადამიანის გვერდით, რომელიც უყვარდა ყოველთვის, სიხარულშიც და იმ საქმიანობაშიც, რასაც ის აკეთებდა. ის ძალიან მნიშვნელოვანი ჯაშუში იყო, რომელიც საბჭოთა კავშირისთვის მუშაობდა. ლეონტინა მისი დამხმარე გახდა, მოგვიანებით კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სსრ კავშირისთვის ატომური ბომბის შექმნასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოპოვებაში.**



### ეს იყო სიყვარული

პირველად 1937 წელს შეხვდნენ ერთმანეთს ესპანეთის მხარდამჭერ მიტინგზე. ლეონტინას მორისი თითქმის წმინდანად ეჩვენებოდა. მალევე კოენი ესპანეთში გაგზავნეს. სწორედ იქ გაიცნო მან ამადეო საბატინი, საბჭოთა მზვერავი, რომელმაც ის გადაიბირა. 1938 წლის შემოდგომაზე მორისი დაიჭრა და აშშ-ში გაგზავნეს, სადაც გამოჯანმრთელების შემდეგ საბჭოთა დაზვერვისთვის დაიწყო მუშაობა.

მორის კოენი ემიგრანტი ებრაელების ოჯახიდან იყო, ლეონტინა კი პოლონელი კათოლიკე ემიგრანტების ოჯახში გაიზარდა. ორივე ამერიკაში დაიბადა. მორისმა კოლუმბიის უნივერსიტეტი დაამთავრა. ლეონტინა 15 წლისა სოციალისტურ პარტიაში შევიდა, მერე კომუნისტურ პარტიაში გადავიდა და თავი ატეისტად გამოაცხადა. იმის შესახებ, რომ მისი მეუღლე ჯაშუში იყო, ქალმა ქორწილის შემდეგ, 1941 წლის 22 ივნისს შეიტყო.

მორისმა უამბო ცოლს, რითიც იყო დაკავებული და უსაფრთხოებისთვის ერთად მუშაობა შესთავაზა. ქალმა გადაწყვიტა, მეუღლის გვერდით ყოფილიყო.

### ატომური ბომბი ხელსახოცების ყუთში

ერთობლივი დავალება მეუღლეებისთვის სულ ცოტახნის წინ შექმნილი ამერიკული იარაღის ნახაზების ქურდობა იყო. ლეონტინამ ახალგაზრდა მამაკაცი გაიცნო, რომელმაც 2000 დოლარად მისი თხოვნით არამარტო ნახაზები, არამედ ახალი ტყვიამფრქვევის სამუშაო მოდელიც



კი გამოიტანა, რომელიც მორისმა ვიოლინოს ფუტლიარით გადასცა საბჭოთა მზვერავს.

იმ დროისათვის მორისს უკვე ჰქონდა აგენტურული ქსელი, რომელსაც „ვოლონტიორები“ ერქვა. საქმე ის გახლავთ, რომ კოენები მხოლოდ ხარჯებისთვის იღებდნენ ფულს და საქმიანობიდან შემოსავალი არ ჰქონდათ. როცა მორისი 1942 წელს ომში გაიწვიეს, ჯგუფს ლეონტინა ჩაუდგა სათავეში. ის ეწეოდა სამრეწველო, ტექნიკურ და სამეცნიერო შპიონაჟს, ამყარებდა კავშირებს საჭირო ადამიანებთან და სხვადასხვა გზებით იბირებდა მათ თანამშრომლობისთვის. თავად ლეონტინა დაზგებზე მუშაობდა თავდაცვის უწყებას დაქვემდებარებულ ქარხნებში. 1942 წელს ის „პაბლიქს მეტალსში“, 1943 წელს “Aircraft Screw Products”-ში მუშაობდა. როგორც მზვერავი გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციებს, კოორდინირებას უწევდა ოპერაციებს და ინფორმაციის მოსკოვში გაგზავნას.

ამ დროს მორისი პატიოსნად იბრძოდა. გამარჯვებას ელბაზე შეხვდა კაპრალის ჩინითა და რამდენიმე საბრძოლო ჯილდოთი. ლეონტინა „მანჰეტენის პროექტზე“ მუშაობდა, ასე ეძახნდნენ შტატებში ატომურ ბომბს. 1943 წელს ის ალბუკერკეში გაემგზავრა სამკურნალოდ, რომელიც დახურულ ლოს-ალამოსთან ახლოს მდებარეობს. სანატორიუმის მიმართვა ნაცნობ ექიმთან შეიძინა ნიუ-იორკში. საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ლოს-ალამოსში მუშაობდნენ ატომურ ბომბზე, ხოლო წყარო, რომელსაც ინფორმაცია უნდა გადაეცა ლეონტინასთვის, ლაბორატორიაში მუშაობდა. თანამშრომლებს მხოლოდ თვეში ერთხელ უშვებდნენ ქალაქში.

ლეონტინას და მეკავშირის შეხვედრა ხალხმრავალ ადგილზე უნდა მომხდარიყო. ქალი მამაკაცს იცნობდა, კაცმა კი არ იცოდა, ვინ მივიდოდა მასთან. ხელში ყვითელი ჩანთა უნდა სჭეროდა. ლეონტინა ოთხი კვირა ელოდა შეხვედრას. ამასობაში ყველა




ფედერალი დაიმახსოვრა და შეისწავლა, რომლებიც იქ მრავლად იყვნენ.

როცა მეკავშირესთან შეხვედრა შედგა, ახალი პრობლემა წამოიჭრა, დოკუმენტაცია რამენაირად ნიუ-იორკში უნდა ჩაეტანათ, სადგურზე კი პოლიცია ყველას ჩხრეკდა. მაშინ ლეონტინამ არაჩვეულებრივი სვლა მოიფიქრა. ყველა დოკუმენტი მიკროფირზე იყო. ქალმა ისინი ხელსახოცების ყუთის ფსკერზე მოათავსა.

როცა უკვე ვაგონთან იყო, პოლიციელებმა ჩანთის გახსნა სთხოვეს, მან ჩანთა გახსნა, ამოიღო ხელსახოცების ყუთიდან რამდენიმე ხელსახოცი, ყუთი კი აგენტს დააჭერინა. ვიდრე ჩხრეკა მიმდინარეობდა, ის კვლავ აცხიკინებდა და ხელსაწმენდებს იღებდა. როცა ჩხრეკა დასრულდა, ქალი ვაგონის შესასვლელისკენ გაემართა და ვითომ გვიან „გაახსენდა“ ხელსაწმენდების ყუთი. რამდენიმე დღის შემდეგ დოკუმენტები უკვე მოსკოვში იყო.

### აშშ-დან საბჭოთა კავშირში ბრიტანეთის ციხის გავლით

1945 წლის ნოემბერში მორის კოენი შინ დაბრუნდა, სადაც წყვილმა კვლავ განაგრძო მოღვაწეობა, მაგრამ 1940-იანი წლების ბოლოს უკვე ნათელი გახდა, რომ მეუღლეები სასწრაფოდ უნდა გამოეყვანათ ამერიკიდან, რადგან ფედერალური აგენტები სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ და მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ამერიკაში კოენები მსოფლიოში გამოჩენილ მზვერავთან ვილიამ ფიშერთან ერთად მუშაობდნენ, რომე-




ლიც რუდოლფ აბელის სახელით არის ცნობილი. 1950 წელს ძალიან რთული გზებით მოხვდნენ საბჭოთა კავშირში, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში გადიოდნენ სწავლებას არალეგალური დაზვერვის ცენტრში.

1954 წელს დიდ ბრიტანეთში, ნორჰოლტში გამოჩნდნენ პიტერ და ჰელენ კროგერები, რომლებიც იქ ახალი ზელანდიიდან ჩავიდნენ. მათ შეიძინეს ბინა ამერიკული სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზის მახლობლად. ეს გარემოება და პორტატული რადიოსადგური საშუალებას აძლევდა მათ, მოსკოვთან მუდმივი კავშირი ჰქონოდათ და ადვილად არ ჩავარდნილიყვნენ. მეუღლეები შესანიღბად პატარა ბუკინისტურ მაღაზიას იყენებდნენ. მათ დიდ ბრიტანეთში ხუთი წელი იმუშავეს და ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი ცნობაც მოიპოვეს, მათ შორის, ინფორმაცია სარაკეტო იარაღის შესახებ, რომლის შექმნაზეც დიდ ბრიტანეთში მუშაობდნენ.

ისინი პოლონეთის დაზვერვიდან ინგლისელების მხარეს გადასულმა ყოფილმა აგენტმა დაიბეზღა. მან ინფორმაცია ჯერ ამერიკელებს მიაწოდა, მერე კი მი-5-ის მესვეურებს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელებმა ვერაფერი დაუმტკიცეს, მათ ამერიკელების მონაცემებზე დაყრდნობით 1961 წლის იანვრის დასაწყისში პიტერ და ჰელენ კროგერები დააპატიმრეს. სასამართლომ მათ 25 და 20-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოს მსვლელობისას არავითარი ჩვენება არ მიუციათ, რაც გამოძიებას სხვა აგენტების გამოვლენის საშუალებას მისცემდა. ცოლ-ქმარმა ბრიტანეთის ციხეში ცხრა წელი გაატარა.

ლეონტინა და მორისი სხვადასხვა ადგილას ისხდნენ და მხოლოდ თვეში ერთხელ ერთი საათით ზედამხედველის მეთვალყურეობით ხვდებოდნენ ერთმანეთს. მი-5-ის ყველა შეთავაზებაზე, რაც მათ თავისუფლებას მოუტანდა, უარი თქვეს. 1969 წელს მორისი და ლეონტინა ინგლისელ აგენტზე ჯერალდ ბრუკსა და კიდევ ორ ბრიტანელზე გაცვალეს. ამასთან, საბჭოთა კავშირს თავი არ გაუცია, რომ მათი ბედით იყო დაინტერესებული, ყველაფერი პოლონეთის საშუალებით მოგვარდა.

სიცოცხლის ბოლო წლები მეუღლეებმა საბჭოთა კავშირში გაატარეს. თავიდან ისინი სუკ-ში მუშაობდნენ, შემდეგ კი რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურში და ახალგაზრდა სპეციალისტებს ამზადებდნენ. ისინი ბოლომდე ერთად იყვნენ. ლეონტინა 1992 წელს გარდაიცვალა, მორისი — 1995-ში.

1995 წელს მორის კოენს მიენიჭა რუსეთის გმირის წოდება (სიკვდილის შემდეგ) სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სპეციალური დავალებების წარმატებით შესრულებისთვის.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22



**„საერთო გაზეთის“ ერთგულ თანამშრომელს, პასუხისმგებლიან, პროფესიაზე შეყვარებულ ჟურნალისტს, საუკეთესო მეგობარსა და თანამშრომელს თამარ შველიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს.**

**ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას მეუღლესთან ერთად და დიდ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.**

„საერთო გაზეთის“
რედაქცია

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).
http://www.saertogazeti.ge

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99